

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №8

ს ა ქ მ ი ს

წ ა რ მ ო ე ბ ი ს

გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა

საძიებელი

- ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება
- გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინამძღვრები, საფუძვლები
- კერძო საჩივარი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დასაშვებობის თაობაზე
- კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე
- საქმის წარმოების განახლება დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე
- საქმის წარმოების განახლების სახეები
- საქმის წარმოების შეჩერების წინამძღვრები
- უარი საქმის წარმოების განახლებაზე
- უსწორობის გასწორება

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

### განჩინება

1ბ-1441-19(ა-08)

4 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. ჯ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.05.08წ. განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჯ-ძემ 25.02.08წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.07წ. განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.03.08წ. განჩინებით კასატორ ლ. ჯ-ძეს დაევალა, ხარვეზის შესახებ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეცა საქმეში და სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

ლ. ჯ-ძემ 30.04.08წ. შპს «საქართველოს ფოსტის» ბოლნისის ფილიალში წარადგინა სსსკ-ის 177-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი საკასაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.05.08წ. განჩინებით ლ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.03.08წ. განჩინებით ლ. ჯ-ძეს დაევალა, ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეცა საქმეში და სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. აღნიშნული განჩინების კასატორისათვის ჩაბარების შესახებ ლ. ჯ-ძის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი, საქართველოს ფოსტის ბოლნისის ფილიალის უფროსის ცნობიდან ირკვეოდა, რომ კასატორს ხსენებული განჩინება ჩაჰბარდა 21.04.08წ. მიუხედავად ამისა, ლ. ჯ-ძის მიერ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ვინაიდან ხარვეზის შევსების ბოლო ვადა იყო 29.04.08წ. ოცდაოთხ საათამდე. უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ კონვერტზე, რომლითაც გამოიგზავნა საკასაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, დასმული კალენდარული შტემპელიდან დგინდებოდა, რომ კასატორმა ხარვეზის გამოსწორების მიზნით საკასაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი ფოსტის მეშვეობით 30.04.08წ. გამოაგზავნა, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი, საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე (ფორმა 1119), საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.03.08წ. განჩინების ბოლნისის ფოსტაში შესვლის თარიღის აღმნიშვნელ კალენდარულ შტემპელზე მითითებულია 15.04.08წ. და ლ. ჯ-ძის ხელმოწერის გასწვრივ მხარისათვის გზავნილის ჩაბარების თარიღის აღმნიშვნელ ადგილზე ასევე დასმულია 15.04.08წ. ფოსტის კალენდარული შტემპელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველად.

ლ. ჯ-ძემ 26.06.08წ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.05.08წ. განჩინების გაუქმება და მისი საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა წარმოადგინა შპს «საქართველოს ფოსტის» ქვითარი 1000006 და მიუთითა, რომ გზავნილი 15/63 ფოსტას 29.04.08წ. ჩაჰბარდა, ანუ უზენაესი სასამართლოს ხარვეზის შესახებ განჩინებით განსაზღვრულ ვადაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ლ. ჯ-ძის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ხარვეზის შესახებ 28.03.08წ. განჩინება 07.04.08წ. ლ. ჯ-ძეს გაეგზავნა 1724 შეტყობინებით. აღნიშნული გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება (ფორმა 1119) საქართველოს უზენაეს სასამართლოში არსებულ საფოსტო განყოფილებაში 19.04.08წ. შევიდა, რაც დასტურდება გზავნილებათა გაგზავნაზე 15 რეესტრით, რომელზეც დასმულია 19.04.08წ. კალენდარული შტემპელი და მითითებულია ბოლნისიდან შემოსული 1724 საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეში დაცულია 1724 შეტყობინება საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ (ფორმა 1119), რომელზეც ლ. ჯ-ძის ხელმოწერის გასწვრივ დასმულია ბოლნისის ფოსტის კალენდარული შტემპელი 15.04.08წ. თარიღით. ზემოაღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ადრესატს – ლ. ჯ-ძეს 19.04.08წ. შემდეგ ვერ ჩაჰბარდებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხარვეზის შესახებ 28.03.08წ. განჩინება, რადგან მის მიერ ხელმოწერილი დასტური საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ 19.04.08წ. დაუბრუნდა სასამართლოს. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს 09.09.94წ. 101/151 ბრძანებით დამტკიცებული საფოსტო წესების 43-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, კალენდარული შტემპელი განკუთვნილია საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე, ქვითრებზე, საბუთებზე ადგილის, თარიღისა და ჩაბარების საათის აღნიშვნისათვის. აკრძალულია კალენდარული შტემპელის ანაბეჭდის დასმა სხვადასხვა მასალებზე მოქალაქეთა და დაწესებულებების თხოვნის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე და გზავნილებათა გაგზავნის 15 რეესტრზე დასმული კალენდარული შტემპელების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ლ. ჯ-ძეს 2008 წლის 19 აპრილამდე – 15.04.08წ. ჩაჰბარდა ხარვეზის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.03.08წ. განჩინების ასლი და არა 21.04.08წ., როგორც ეს მითითებულია საქართველოს ფოსტის ბოლნისის ფილიალის უფროსის ცნობაში. აღნიშნული ცნობა ეჭვს იწვევს, რადგან იგი არის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც ეწინააღმდეგება საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ 1724 შეტყობინებას (ფორმა 1119) და გზავნილებათა გაგზავნის 15 რეესტრს. რაც შეეხება ლ. ჯ-ძის მითითებას მის მიერ ხარვეზის გამოსწორების მიზნით საფოსტო გზავნილის 29.04.08წ. ფოსტისათვის ჩაბარების შესახებ, აღნიშნული ვერ შეცვლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 19.05.08წ. განჩინებით დამდგარ შედეგს, ვინაიდან ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან დადგენილია, რომ კასატორს ხარვეზის შესახებ 28.03.08წ. განჩინება 15.04.08წ. ჩაჰბარდა, ხოლო ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადა იყო 22.04.08წ. ოცდაოთხი საათი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორს 29.04.08წ. რომც წარედგინა ფოსტისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის საჭირო დოკუმენტები, მისი საკასაციო საჩივარი მაინც განუხილველი დარჩებოდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 1000006 ქვითრით ცალსახად არ დასტურდება მის მიერ 29.04.08წ. ხარვეზის შევსების ფაქტი, რადგან კონვერტზე, რომლითაც საკასაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ლ. ჯ-ძემ ჩააბარა ფოსტას, დასმულია 30.04.08წ. კალენდარული შტემპელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.03.08წ. განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი ლ. ჯ-ძის მიერ არ იქნა გამოსწორებული აღნიშნული განჩინებით დადგენილ ვადაში, რის გამოც არსებობდა ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით ლ. ჯ-ძის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ლ. ჯ-ძის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.05.08წ. განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ჯ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.05.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წინაპირობა;  
საქმის წარმოების შეჩერების წანამძღვრები; უსწორობის გასწორება**

### **განჩინება**

1ბს-1439-1397(2კს-08)

10 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლებაზე უარის, სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანისა და საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის კანონიერება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 6 ივლისს თ. გ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ვ. ხ-მის, გ. ქ-მის, ქ. ბა-თუმის მერიის, ასევე, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის ბათუმის სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეების – გ. ქ-მისა და ვ. ხ-მის სახელზე გაცემული მიშენების პროექტის დამტკიცების შესახებ ბათუმის მერიის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და მოპასუხეების დავალდებულება განხორციელებული მიშენების მოშლის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. გ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, როგორც არასათანადო მოსარჩელეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-მემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება, მისი სათანადო მოსარჩელედ ცნობა, შპს «აჭარსპეცპროექტის» მიერ 2002 წელს გაცემული პროექტის, შპს «კონსტრუქტორი 21-ის» მიერ შედგენილი პროექტის, ბათუმის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის, ბათუმის არქმშენისსპექციის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის გაუქმება, მოპასუხეების მიერ აშენებული ლოჯიების მოშლა, ასევე მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 18000 ლარის 4%-ის ანაზღაურების დაკისრება, ასევე, აპელანტმა იშუამდგომლა საქმეში მესამე პირად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის ჩართვა.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 იანვრის განჩინებით თ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა არსებითად განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-მემ და მოითხოვა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 იანვრის განჩინების გაუქმება ნაწილობრივ, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის განჩინებით თ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა სსსკ-ის 279-ე მუხლის «ა» პუნქტის შესაბამისად, მოპასუხის – ვ. ხ-ძის გარდაცვალების გამო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის განჩინებით მოპასუხის – ვ. ხ-ძის უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ ნ. და ი. ხ-ძეები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით თ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, თ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის არქმშენისსპექციის მიერ გაცემული მშენებლობის წარმოების 159/04 ნებართვა, ბათუმის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს 159/04 ნებართვა და დადგინდა უკანონო მშენებლობის მოშლა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ქ-ძემ, ასევე, ი. და ნ. ხ-ძეებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 27 თებერვლის განჩინებით გ. ქ-ძის, ასევე, ი. და ნ. ხ-ძეების საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება.

2007 წლის 6 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ი. და ნ. ხ-ძეებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლით:

განმცხადებლებმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოტივად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ ისე ცნო ბათილად ქ. ბათუმის არქმშენისსპექციის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა, რომ საქმეში მხარედ არ მოუწვევია ქ. ბათუმის არქმშენისსპექცია. დავის საგანს წარმოადგენდა მშენებლობის ნებართვის გაცემის კანონიერება, რაზეც სასამართლომ იმსჯელა ქ. ბათუმის არქმშენისსპექციის მოწვევისა და მისი პოზიციის მოსმენის გარეშე. ამ უკანასკნელის საქმეში მოწვევის აუცილებლობა ასევე განპირობებული იყო «არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ» კანონის 4.8 მუხლის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისადაც.

ამდენად, განმცხადებელთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა სსსკ-ის 422-ე მუხლის «ბ» პუნქტის დარღვევით, რაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველია.

განმცხადებლებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს სსსკ-ის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტზე, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ სადავო მიშენებული ფართი რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში, რაც ადასტურებს მშენებლობის კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელების ფაქტს.

2007 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ი. და ნ. ხ-ძეებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოწერილ სააღსრულებო ფურცლის გაუქმება იმ მოტივით, რომ «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 25.1 მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება მსვლელობა მიეცეს სააღსრულებო ფურცელს, რადგან იგი გაცემულია კრედიტორის – თ. გ-ძის სახელზე, სადავო ქონება კი საჯარო რეესტრში აღრიცხულია ი. და ნ. ხ-ძეების საკუთრებაში, რომლებიც არ არიან მოხსენიებულნი სააღსრულებო ფურცელში. ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, რომლის საფუძველზეც მოხდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ი. და ნ. ხ-ძეების განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ საქმის წარმოება შეჩერდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების განხილვამდე; ამავე განჩინებით ი. და ნ. ხ-ძეების განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2008 წლის 29 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. გ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაზე გამოწერილ სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანა და მოვალედ ვ. ხ-ძის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლების – ი. და ნ. ხ-ძეების მითითება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 სექტემბრის განჩინებით სასამართლოს ინიციატივით გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა და მოწინააღმდეგე მხარედ ნაცვლად ნ. ხ-ძისა, მიეთითა ნ. ხ-ძე.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას განმცხადებლებმა აღძრეს შუამდგომლობა და მოითხოვეს სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის საფუძველზე, საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით, რომ ი. და ნ. ხ-ძეებს შეტანილი აქვთ განცხადება ლეგალიზაციის მოთხოვნით და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინებით ი. და ნ. ხ-ძეების შუამდგომლობა სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის საფუძველზე, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მითითებული ნორმის თანახმად, საქმის წარმოება შეჩერდება, თუ მისი განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს არა ადმინისტრაციული წარმოების, არამედ სამოქალაქო, სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ი. და ნ. ხ-ძეების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება, რომ სადავო ფართი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, არ მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად და მიუთითა შემდეგზე: აღნიშნულის შესახებ განცხადებული რომ ყოფილიყო სასამართლოში, არ გამოიწვევდა ი. და ნ. ხ-ძეებისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დავის საგანს წარმოადგენდა მშენებლობის ნებართვის გაუქმება და დასახელებული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე განხორციელებული მინაშენის მონგრევა. შესაბამისად, ის ფაქტი, იყო თუ არა რეგისტრირებული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე განხორციელებული მიშენებული ფართი საჯარო რეესტრში, გავლენას ვერ მოახდენდა აღნიშნული ნებართვის კანონიერებაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიაზიარა განმცხადებელთა მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ და მიუთითა, რომ «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 20.2 მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. ამდენად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, არ არსებობს მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმების საფუძველიც.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაცემულ სააღსრულებო ფურცელში გასწორდა დაშვებული უსწორობა და მოვალედ ნაცვლად ვ. ხ-ძისა, მიეთითა ი. და ნ. ხ-ძეებზე, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-7, 260-ე მუხლებით და მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის განჩინებით ვ. ხ-ძის უფლებამონაცვლეებად ცნობილ იქნენ ი. და ნ. ხ-ძეები, ამავე სასამართლოს 2008 წლის 1 სექტემბრის განჩინებით სასამართლომ საკუთარი ინიციატივით გაასწორა 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულ იქნა ნ. ხ-ძეზე, ნაცვლად ნ. ხ-ძისა. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე მოწინააღმდეგე მხარეებამ მითითებულია ი. და ნ. ხ-ძეები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებები – საქმის წარმოების შეჩერებაზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანის შესახებ კერძო საჩივრებით გაასაჩივრეს ი. და ნ. ხ-ძეებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებების გაუქმება და სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრების ავტორებმა უკანონოდ მიიჩნიეს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინება საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი საკითხი ეხება განხორციელებული მინაშენის კანონიერების დადგენას და მისი მოშლის ან მოშლაზე უარის შესახებ საკითხის განხილვას. ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი.

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ჯერ განხილულ უნდა იქნეს ლეგალიზაციის შესახებ განცხადება, რადგან მინაშენის ლეგალიზაციის შემთხვევაში გამოირიცხება მინაშენის მოშლა, შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნება მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის. ლეგალიზაციის შესახებ განცხადების განხილვის შემდეგ სასამართლოსათვის უკვე ცნობილი გახდება მინაშენის კანონიერების თაობაზე და შესაძლებელი იქნება საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

კერძო საჩივრის ავტორებმა ასევე უკანონოდ მიიჩნიეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანის შესახებ, რადგან მიმდინარეობს რა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა, მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ უნდა იქნეს განხილული სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანის საკითხი, რადგან თ. გ-მე სააღსრულებო ფურცლით ითხოვს მინაშენის მოშლას, რაც შეუძლებელია საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს კერძო საჩივრის ავტორებმა და მოითხოვეს სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით, რომ მათ მიერ სასამართლოში იქნა გასაჩივრებული მინაშენის ლეგალიზაციის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რის გამოც სასამართლო წესით მის გადაწყვეტამდე საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. და ნ. ხ-მეების კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. სსსკ-ის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების საფუძველია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამდენად, მითითებული ნორმა ადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების, ანუ ფაქტობრივად საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, თუ მხარისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ცნობილი გახდება საქმის განხილვისას მისთვის უცნობი რაიმე გარემოება, ან მტკიცებულება, რომლებიც საქმის განხილვის სტადიაზე ცნობილი თუ იქნებოდა სასამართლოსათვის, გამოიწვევდა სხვაგვარი, მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ განმცხადებლების მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს სსსკ-ის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების საფუძველს, კერძოდ, განმცხადებლები თავიანთ მოთხოვნას აფუძნებდნენ იმ გარემოებაზე, რომ არქმშენისპექციის მიერ კანონიერად მოხდა მშენებლობის ნებართვის გაცემა, რასაც ადასტურებს განხორციელებული მინაშენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელთათვის საქმის წარმოების დასრულების შემდეგ არ გამხდარა ცნობილი ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რაც სსსკ-ის 423-ე მუხლის შესაბამისად, შექმნიდა საქმის წარმოების განახლების პროცესუალურ წინაპირობას, რადგან საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა მათი დედის – მოპასუხე ვ. ხ-მის სამკვიდრო მოწმობისა და ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2007 წლის 18 მაისის '01-09/63 ბრძანების საფუძველზე. მითითებული ბრძანება მშენებლობა-დამთავრებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე გამოცემულ იქნა 2003 წლის 25 სექტემბრის '01-12/651 პროექტისა და '59/04 მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, რომლებიც ბათილად იქნა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვერ იქნება გაზიარებული განმცხადებლების არგუმენტი ახლად აღმოჩენილ გარემოებად რეგისტრაციის განხორციელების მიჩნევის შესახებ, რადგან იგი არ წარმოადგენს სსსკ-ის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რეგისტრაციის განხორციელება ვერც მიშენების განხორციელების კანონიერებას ადასტურებს, რადგან რეგისტრაციას საფუძველად დაედო ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა უკანონობაც დადგინდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. მით უფრო, რომ ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2007 წლის 18 მაისის '01-09/63 ბრძანება მისი ძალაში

შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2007 წლის 28 დეკემბრის '01-22/799 ბრძანებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულად ეთქვა უარი განმცხადებლებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არსებითად სწორად ეთქვათ უარი განმცხადებლებს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობდა კონკრეტულ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერების პროცესუალური წინაპირობა, რადგან მითითებული ნორმა ადგენს საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულებას, საქმის წარმოება კი მოიცავს საქმის განხილვის, ამ მიზნით ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების პროცესს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების დადგენამდე, რომელიც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, შევა კანონიერ ძალაში და შეიძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. კონკრეტულ შემთხვევაში კი, განმცხადებლები ითხოვენ საქმის წარმოების შეჩერებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებაზე, იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობდა საქმის წარმოება მათ განცხადებაზე, განხორციელებული მინამენის ლეგალიზაციის თაობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტა – განხორციელებული მშენებლობის ლეგალიზაციის შესახებ, გავლენას ვერ მოახდენს ი. და ნ. ხ-ძეების განცხადების განხილვაზე, რადგან მოცემულ საქმეზე სასამართლოთა განხილვის საგანს წარმოადგენს არა განხორციელებული მშენებლობის კანონიერების შემოწმება, რაზეც საქმის წარმოება დასრულდა სსსკ-ის 264.2 მუხლის შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, არამედ იმ არგუმენტებისა და მოტივების საფუძვლიანობის შემოწმება, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს საქმის წარმოების განახლებას. ის გარემოება, განხორციელებული მშენებლობა დაექვემდებარება თუ არა ლეგალიზაციას, გავლენას ვერ მოახდენს განსახილველ საქმეზე, რადგან იგი წარმოადგენს სრულიად ახალ სამართლებრივ ურთიერთობას.

«პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის '660 ბრძანებულებაში გამოიხატა პოლიტიკური ნება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით, უკანონოდ აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების დაკანონების შესახებ ბრძანებულებით დადგენილი პირობების დაცვით. შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტით – დაექვემდებარება თუ არა განხორციელებული მინამენი ლეგალიზაციას, განმცხადებლები შეიძენენ მასზე უფლებას, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს განხორციელებული მშენებლობის კანონიერების შემოწმებას, არამედ სახელმწიფო ნების შესაბამისად, ხდება უკანონოდ განხორციელებული მშენებლობაზე უფლების დადგენა. სასამართლოს კი ამგვარი უფლებამოსილება მინიჭებული არა აქვს და იგი ამოწმებს მხოლოდ ქმედების კანონიერებას და მის შესაბამისობას მოქმედ სამართლებრივ აქტებთან.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორებმა მომართეს შუამდგომლობით საკასაციო სასამართლოს და მოითხოვეს სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით, რომ სასამართლოში იხილება საქმე მათი სარჩელის გამო ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2008 წლის 22 დეკემბრის '01-22/1343 ბრძანებულების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარი ეთქვათ ლეგალიზაციის განხორციელებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღძრული შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო ვერ იქნება გაზიარებული, რადგან როგორც აღინიშნა, მითითებული საკითხის გადაწყვეტა გავლენას ვერ მოახდენს საკასაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული კერძო საჩივრის განხილვაზე და წარმოადგენს სხვა სამართლებრივ ურთიერთობას, რის გამოც არ არსებობს საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობა.

სსსკ-ის 279-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობა არსებობს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის განხილვამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვა, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება, რადგან მითითებული ნორმა ავალდებულებს სასამართლოს, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ მისი განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომლის განხილვა და გადაწყვეტა გავლენას მოახდენს სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმის გადაწყვეტაზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აწესებს შეზღუდვას და მითითებულ დათქმას არ ავრცელებს მხოლოდ სამართალწარმოების წესით საქმის განხილვაზე, ამგვარი დასკვნა არ მომდინარეობს არც ნორმის შინაარსიდან და არც მისი ლოგიკური განმარტებიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის ნორმის არასწორი განმარტება დაუდო საფუძვლად საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობაზე უარს, მაგრამ სსსკ-



ის 393.3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველს, რადგან სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად უთხრა უარი განმცხადებლებს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგან არ არსებობდა მისი გაზიარების პროცესუალური წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ გამო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლითაც უარი ეთქვათ განმცხადებლებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის სააღსრულებო ფურცელში გასწორდა დაშვებული უსწორობა და მოვალეობად ვ. ხ-ძის ნაცვლად მითითებულ იქნენ ი. და ნ. ხ-ძეები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად შეიტანა შესწორება სააღსრულებო ფურცელში, რადგან, საქმის მასალების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის არქმენინსპექციის მიერ გაცემული 159/04 მშენებლობის ნებართვა, ბათუმის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს მიერ გაცემული 159/04 მშენებლობის ნებართვა და დადგინდა ვ. ხ-ძისა და გ. ქ-ძის მიერ უკანონოდ აშენებული ლოჯიების მოშლა. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის მოთხოვნის შესაბამისად, გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი და მასში მოვალედ აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიეთითა ვ. ხ-ძეზე. საქმის მასალებით დგინდება, რომ აწ გარდაცვლილი ვ. ხ-ძის უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ ი. და ნ. ხ-ძეები. შესაბამისად, მართებულად იქნა სააღსრულებო ფურცელში შეტანილი შესწორება და მოვალეობად მართებულად იქნენ მითითებულნი ვ. ხ-ძის უფლებამონაცვლებები – ი. და ნ. ხ-ძეები, რომლებსაც საკუთრებაში გადაეცათ ვ. ხ-ძის დანაშთი ქონება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის მოტივები დაუსაბუთებელია, არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინებების კანონშეუსაბამობის თაობაზე და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 215-ე, 279-ე, 404.2, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. და ნ. ხ-ძეების შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. ი. და ნ. ხ-ძეების კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე**

#### **განჩინება**

18ს-1682-1636 (კს-08)

25 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ყ-ანმა 2000 წლის სექტემბერში სარჩელი აღძრა ხაშურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების მ. და თ. ყ-ანების მიმართ და მოითხოვა შემდეგი: მისთვის, როგორც სახლის ნახევრის მესაკუთრისათვის, საკარ-

მიდამო მიწის ნაკვეთიდან ნახევრის 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა; საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს მიერ მ. ყ-ანის, თ., გ. და კ. ყ-ანების სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების სარეგისტრაციო მოწმობების ბათილად ცნობა; ასევე, ხაშურის რაიონის სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის 1992 წლის 25 სექტემბრის 11, 12, და 13 მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობა, რომლის მიხედვითაც, ე., მ. და თ. ყ-ანებს საკუთრებაში გადაეცათ (0,043 ჰა; 0,06 ჰა და 0,053ა) მიწის ნაკვეთები; დაბა სურამის საკრებულოს 1995 წლის 21 ივნისის 117 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც კ. და გ. ყ-ანებს გამოეყოთ გარდაცვლილ ე. ყ-ანის სახელზე რიცხული 430 კვ.მ. მიწიდან 215-215 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ი. ყ-ანის სარჩელი მოპასუხე მიწის მართვის ხაშურის რაიონულ სამმართველოსთან, სურამის სადაბო საკრებულოსთან, თ., მ., კ. და გ. ყ-ანებთან მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების 11,2,3 ე., მ. და თ. ყ-ანების სახელზე გაცემული აქტების, აგრეთვე სურამის სადაბო საკრებულოს 1995 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებაზე და სადავო მიწის ნაკვეთიდან 0,12 ჰა მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე უსაფუძვლობის და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ყ-ანმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ი. ყ-ანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. ყ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ხაშურის რაიონის მიწის რეფორმის კომისიის 1992 წლის 25 სექტემბრის 11, 12, და 13 მიღება-ჩაბარების აქტები; ბათილად იქნა ცნობილი: 2001 წლის 5 მარტის, მ. ყ-ანის მიწის სარეგისტრაციო მოწმობა 169/04/18/196 (451 კვ.მ-ზე); თ. ყ-ანის მიწის საკუთრების 2001 წლის 5 მარტის სარეგისტრაციო მოწმობა 169/04/18/197 (459 კვ.მ-ზე); კ. ყ-ანის მიწის საკუთრების 2001 წლის 5 მარტის სარეგისტრაციო მოწმობა 169/04/18/194 (216 კვ.მ-ზე); გ. ყ-ანის მიწის საკუთრების 2001 წლის 5 მარტის სარეგისტრაციო მოწმობა 169/04/18/195 (216 კვ.მ-ზე); მ., თ., კ. და გ. ყ-ანების მიწის საკუთრების 2001 წლის 5 მარტის სარეგისტრაციო მოწმობა 169/04/18/198 (184 კვ.მ-ზე); ბათილად იქნა ცნობილი დაბა სურამის საკრებულოს 1995 წლის 21 ივნისის 117 გადაწყვეტილება; არ დაკმაყოფილდა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ყ-ანმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 23 დეკემბრის განჩინებით კასატორის – მ. ყ-ანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ყ-ანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლო მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ყ-ანმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ი. ყ-ანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

ი. ყ-ანმა 2006 წლის ოქტომბერში განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა მ., თ., კ. და გ. ყ-ანების მიწის ნაკვეთების გაყოფის ვარიანტებზე, რომლებსაც ეთანხმებიან მ. და თ. ყ-ანები; სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის 1992 წლის 25 სექტემბრის 11 ე.კ. ყ-ანზე 0,0439 ჰა; 12 მ.ყ-ანზე 0,05 ჰა; 13 თ.ყ-ანზე 0,05 ჰა მიწის მიღება-ჩაბარების აქტების ასლებზე; მ., თ. და კ. ყ-ანების 2006 წლის 23 აგვისტოს განცხადებებზე საჯარო რეესტრის ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის სახელზე სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის თაობაზე; სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის ნ. დ-იას უარი მ., თ. და კ. ყ-ანების 2006 წლის 23 აგვისტოს განცხადებებზე; შპს «...-ის» მიერ 2006 წლის 21 აგვისტოს შედგენილ, მ., კ. და გ. ყ-ანების მიწის ნაკვეთების გეგმებზე. მისი აზრით, მის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ მ., თ., კ. და გ. ყ-ანებზე მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების რეგისტრაციის მოწმობები და საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერები შესრულებული არ არის სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის 1992 წლის 25 სექტემბრის 11, 12 და 13 აქტების მიხედვით, რის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კა-

ტეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 23 დეკემბრის და 2005 წლის 20 ოქტომბრის განჩინებები და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებაში მითითებული არგუმენტი იმის შესახებ, რომ მისთვის ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტების შესახებ ცნობილია 1993 წლიდან, არ წარმოადგენს მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, ვინაიდან მათ საფუძველზე არ მომხდარა მიწის საკუთრების მოწმობების გაცემა და სარეგისტრაციო ჩანაწერები.

განმცხადებლის მოსაზრებით, მ., თ. და კ. ყ-ანების მიერ წარმოდგენილი ხაშურის რაიონის სოფ. .... მიწის რეფორმის კომისიის 1992 წლის 11, 12 და 13 მიღება-ჩაბარების აქტები უკანონო და ყალბი დოკუმენტებია, რადგან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურის ცნობით ისინი არ აკმაყოფილებს «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ასევე დადგენილია, რომ ისინი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 148 დადგენილების მე-11 პუნქტის მოთხოვნებს.

განმცხადებლის განმარტებით, შესრულებული ნახაზების სიყალბეს ადასტურებს ასევე დაბა სურამის გამგეობის 2006 წლის 5 სექტემბრის 164 წერილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ი. ყ-ანის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, ვინაიდან განცხადების ავტორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თაობაზე, მას უნდა წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებდნენ სასამართლოს მიერ სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს – სარჩელის ხანდაზმულობას. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კი ი. ყ-ანის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა მტკიცებულებები, რომლებიც ასაბუთებს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უზუსტობას, სიყალბეს და კანონშესაბამობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. ყ-ანმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრისა და 18 სექტემბრის განჩინებების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე პალატისათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 148, ამავე წლის 6 თებერვლის 1128, ამავე წლის 10 მარტის 1220 და 1993 წლის 28 ივნისის 1503 დადგენილებების, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის, 149-ე და 203-ე მუხლის მესამე ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის მოთხოვნები და არ გამოიყენა ზომები სამსახურებრივი სიყალბის დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიებისათვის.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ შპს «...-ის» 2006 წლის 21 აგვისტოს მ., თ., კ. და გ. ყ-ანების მიწის ნაკვეთების აზომვითი აქტებსა და გეგმებზე ნაჩვენებია მიწის ნაკვეთების ფიქტიური საზღვრები, არარსებული მისასვლელი გზა და ფართობების არასწორი მონაცემები. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას არ გამოიყენა «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები და ამასთან, დაუსაბუთებლად თვლის დავის ხანდაზმულად მიჩნევას, ვინაიდან მ., თ., კ. და გ. ყ-ანებზე მიწის ნაკვეთების საკუთრების რეგისტრაცია 2001, 2005 და 2007 წლებში საჯარო რეესტრში მიმდინარეობდა დავის სასამართლოში განხილვის პროცესში ანუ 2000 წლის 11 სექტემბრის სასარჩელო მოთხოვნის წარდგენიდან 6 წლის შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, განცხადების განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა სამსახურებრივი სიყალბის საკითხი და არ მისცა შეფასება ელენე, მ. და თ. ყ-ანების 2006 წელს შედგენილ მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების 11, 12 და 13 აქტებს და შპს «...-ის» მიერ 2006 წლის 21 აგვისტოს მ., თ., კ. და გ. ყ-ანების მიწის ნაკვეთების ფიქტიურ აზომვით აქტებს და გეგმებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი. ყ-ანის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინებაზე განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, ხოლო კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ი. ყ-ანმა კერძო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინების გაუქმება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინების ასლი ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებაზე, რომლითაც ი. ყ-ანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინება. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებით კი ი. ყ-ანს უარი ეთქვა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ გამო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია კერძო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი პირობის თაობაზე, რომლის თანახმად ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. ამ ნორმის ანალიზით ირკვევა, რომ კერძო საჩივარზე საქმის წარმოება ორსაფეხურიანია და მისი განხილვა უნდა დამთავრდეს კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების შემოწმებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინება წარმოადგენს კერძო საჩივრის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს, როგორც ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე გამოტანილი საბოლოო განჩინებაა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. ამასთან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის განხილვის საგანს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინების კანონიერების შემოწმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. ყ-ანის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ყ-ანის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინებაზე დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებაზე ი. ყ-ანის კერძო საჩივართან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ი. ყ-ანმა საქმის წარმოების განახლება მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» პუნქტის საფუძველზე; ამ ნორმის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ ი. ყ-ანმა ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულება, რომელიც საქმის წარმოების განახლების საფუძველად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს ი. ყ-ანის კერძო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქმის წარმოება უნდა განახლდეს იმის გამოც, რომ თბილისის საოლქო სასამართლო დაეყრდნო ყალბ მტკიცებულებებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდეს ამ მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კერძო საჩივრის ავტორი ვერც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის თაობაზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ყ-ანის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველად დარჩეს დაუშვებლობის გამო ი. ყ-ანის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინებაზე;
2. არ დაკმაყოფილდეს ი. ყიფინის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებაზე;

3. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქმის წარმოების განახლების სახეები

### განჩინება

18ს-22-22(კს-09)

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ბ-მემ მოპასუხე ნოტარიუს თ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვა მისი განცხადების სამემკვიდრეო რეესტრში რეგისტრაციის მოპასუხისათვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა – ნოტარიუს თ. გ-შვილს დაევალა სამკვიდროს მიღების შესახებ თ. ბ-მის განცხადების რეგისტრაციის მიზნით სანოტარო მოქმედების შესრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნოტარიუსმა თ. გ-შვილმა და საქმეში მესამე პირად ჩართულმა ნ. ბ-მემ. აპელანტებმა მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით აპელანტების – ნოტარიუს თ. გ-შვილისა და ნ. ბ-მის სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2008 წლის 3 ნოემბერს თ. ბ-მემ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმება და ნოტარიუს თ. გ-შვილისა და ნ. ბ-მის სააპელაციო საჩივრების განსჯად ადმინისტრაციულ სასამართლოს დაქვემდებარება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განჩინებით თ. ბ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და იმავე პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრებზე შეჩერდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის განჩინებით თ. ბ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად.

2008 წლის 22 დეკემბერს თ. ბ-მემ კერძო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა 2008 წლის 1 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში განსახილველად დაბრუნება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ თ. ბ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლით, სასამართომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების

დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები, ანუ აღნიშნული ნორმა დასაშვებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი საქმეების განახლებას, რომელთა წარმოება დამთავრებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით. ყველა სახის განჩინება არ შეიძლება იყოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების მიზნით განხილვის ობიექტი.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით, რომლითაც აპელანტების – ნოტარიუს თ. გ-შვილისა და ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, საქმის წარმოება არ დამთავრებულია. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სახეზე არ გვაქვს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძვლები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია თ. ბ-ძის კერძო საჩივარი დაუშვებლად და თვლის, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების პროცესუალური საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 422-ე, 423-ე მუხლებით და

### **და დ გ ი ნ ა:**

1. თ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 01 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

#### **განჩინება**

18ს-20-20(კს-09)

16 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 31 ივლისს მ. კ-შვილმა და მ. ნ-შვილმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს: ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 30 ივნისის 1522 განკარგულების ბათილად ცნობა; ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 19 ოქტომბრის 103/1156 ბრძანების ბათილად ცნობა; ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 19 ნოემბრის 15/1108 ბრძანების ბათილად ცნობა; გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 აგვისტოს განჩინებით მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 აგვისტოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს მ. კ-შვილმა და მ. ნ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული

განჩინების გაუქმება და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 აგვისტოს განჩინება და შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – შეჩერდა პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ოქტომბრის 103/1156 ბრძანებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის 15/1108 ბრძანების მოქმედება, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას საქალაქო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და განჩინება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, მშენებლობის პროცესის გაგრძელება არსებით ზიანს მიაყენებდა მოსარჩელებს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებული იყო, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2008 წლის 21 აპრილს გაცემული 13-965/15 ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ... ქ. 141-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ... ქ. 137-39-ში მშენებარე შენობის ქვაბულის ამოღებით მიყენებული დაზიანების აღდგენა ისე, რომ იგი მოყვანილი ყოფილიყო პირვანდელ მდგომარეობაში, ტექნიკურად შეუძლებელი იყო, ხოლო იატაკების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო იყო დიდი მოცულობისა და ღირებულების სამუშაოების შესრულება, ასევე მნიშვნელოვანი იყო ... ქ. 141-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ სსიპ კირია ჯავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის 2007 წლის 19 ნოემბრის 1612-02-07 დასკვნა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2007 წლის 8 ნოემბერს გაცემული 116/08/4130 ცნობის საფუძველზე, ... ქ. 141-ში განთავსებულ ნაგებობას მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის 13/181 ბრძანების საფუძველზე, მინიჭებული ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ასევე მნიშვნელოვანი იყო საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის პროკურატურის მიერ გაცემული ცნობა, სადაც მითითებული იყო, რომ ... ქ. 141-ში მცხოვრები მოქალაქეების კოლექტიური განცხადების საფუძველზე, 2008 წლის 14 მაისს ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება 1010088120 სისხლის სამართლის საქმეზე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამდებობის პირების მიერ ... ქ. 137-39-ში მშენებლობის ნებართვის გაცემისას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უნდა შეჩერებულიყო პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ოქტომბრის 103/1156 ბრძანებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის 15/1108 ბრძანების მოქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებაზე ამავე პალატის მიერ 2008 წლის 18 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2008 წლის 1 დეკემბერს შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს ამავე პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მისი გაუქმება.

განმცხადებლების განმარტებით, შპს «...-ისა» და შპს «...-ის» თანასაკუთრებაში იყო 1999 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მათ შორის, შპს «...-ის» – 1456 კვ.მ და შპს «...-ის» – 543 კვ.მ, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. 137-39-ში, სარეგისტრაციო მონაცემი – 101/15/03/10/077. 2007 წლის 1 მაისს შპს «...-ს», შპს «...-სა» და შპს «...-ს» შორის (შემდგომში შპს «...-ს» შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა «...») დადებული «ნარდობის ხელშეკრულების შესახებ სანოტარო აქტის» შესაბამისად, შპს «...-მა», როგორც მენარდემ, ვალდებულია აიღოს, შპს «...-ისა» და შპს «...-ის» საკუთრებაში არსებულ 1999 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. 137-39-ში, აეშენებინა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა. «ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ... ქ. 137-39-ში შპს «...-ისა» და შპს «...-ის» კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შერეული (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო და სხვა) ფუნქციის შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ» ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ოქტომბრის 103/1156 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი. «ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ... ქ. 137-39-ში შპს «...-ისა» და შპს «...-ის» კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შერეული (საოფისე, სავაჭრო და სხვა) ფუნქციის შენობის მშენებლობის

ნებართვის გაცემის შესახებ» ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის 15/1108 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

განმცხადებლების მტკიცებით, მათთვის უცნობი იყო მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის მიერ შეტანილი სარჩელის შესახებ და ისინი სასამართლოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აუცილებლად უნდა ჩაება საქმეში, რადგან იყვნენ იმ სამართალური ერთობის მონაწილენი, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ეს იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

განმცხადებლებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს იმაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით შეჩერებულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება, ხოლო ქ. თბილისში, ... ქ. 137-39-ში მდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლო სამუშაოების წარმოების შეჩერებას შეეძლო გამოეწვია კატასტროფული შედეგები – მიწის ნაკვეთზე, პროექტის შესაბამისად, ამოღებულ იქნა დაახლოებით 6 მეტრი სიღრმის ქვაბული, საძირკვლის მოსაწყობად და ასეთ მდგომარეობაში ქვაბულის გაჩერებას, ატმოსფერული ნალექებისა და გრუნტის წყლების ზემოქმედებით, შეეძლო გამოეწვია ფერდების ჩამოქცევა – ქვაბული ფასადით პირდაპირ გადიოდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე – ... ქუჩაზე, ფილარმონიის წინ, რასაც შეეძლო გამოეწვია არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანება და აგრეთვე, ფერდების ჩამოქცევით შეიძლებოდა მომხდარიყო ... ქ. 141-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მდგომარეობის გაუარესება. აღნიშნულს ადასტურებდა «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2008 წლის 7-28 თებერვლის 1კ-288/15 დასკვნა. ამ დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. 137-39-ში იმ დროისათვის ქვაბული ამოღებული და ღიად დატოვებული იყო, ქვაბულის პერიმეტრის ნაწილში საყრდენი კედლის მშენებლობა დაუმთავრებელი იყო და ატმოსფერული ნალექების დროს წყლის ჩაქონვას ექნებოდა ადგილი კედელსა და გრუნტს შორის, აგრეთვე, თვით საფუძველი გრუნტი ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით დაკარგავდა მისი სიმტკიცის ფიზიკურ მაჩვენებლებს, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ქვაბულის პერიმეტრზე მოწყობილი მშენებარე კედლებისთვის, ასევე, ... ქუჩისთვის, სადაც ტრანსპორტი ინტენსიურად მოძრაობდა. ამავე დასკვნის მიხედვით, ... ქ. 137-39-ში მშენებლობის შეჩერებას შეეძლო გამოეწვია ქვაბულის მთელი პერიმეტრის კედლებისა და ... ქუჩის დაზიანება.

განმცხადებლებმა კიდევ ერთ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს იმაზე, რომ ქ. თბილისის პროკურატურის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება 1010088120 სისხლის სამართლის საქმეზე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამდებობის პირების მიერ ... ქ. 137-39-ში მშენებლობის ნებართვის გაცემისას, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

განმცხადებლებმა განმარტეს, რომ ზემოაღნიშნული ახლად აღმოჩენილი გარემოებები სრულ საფუძველს იძლეოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის 13ბ/1640-08 განჩინებით შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» წარმომადგენლების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – გაუქმდა პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ოქტომბრის 03/1156 ბრძანებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის 15/1108 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინება; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» მოთხოვნა ამავე სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საკითხის გადაწყვეტის ზეპირ სხდომაზე განხილვის წესს. შესაბამისად, სასამართლოს არ ჰქონდა კანონისმიერი ვალდებულება, აღნიშნული საკითხი განეხილა ზეპირ სხდომაზე და მოეწვია მხარეები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილობის საკითხს არეგულირებდა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში და იგი ვერ იქნებოდა გამოყენებული შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესახებ მიღებული განჩინების გადასინჯვასთან მიმართებაში.

რაც შეეხებოდა შუამდგომლობაში მითითებულ სამართლებრივ არგუმენტაციას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილი გარემო-



ების გამო, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შესახებ, სააპელაციო სასამართლო იგი საფუძვლიანად მიიჩნია და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინება ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ ქ. თბილისის პროკურატურის წარმომადგენელმა იყო 1010088120 სისხლის სამართლის საქმე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამდებობის პირების მიერ ... ქ. 137-39-ში მშენებლობის ნებართვის გაცემისას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, ასევე – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 21 აპრილის 1კ-965/15 ექსპერტიზის დასკვნას. შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» განცხადებას ერთვოდა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის პროკურატურის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილება, რომლის თანახმად, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩის 137-39-ში არსებული სახლის სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მომხდარი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 1140 დადგენილებისა და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 18 სექტემბრის 157 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით და შეთანხმებულ პროექტში გათვალისწინებული შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ასევე მშენებელს არ დაუზიანებია უძრავი ძეგლი. ამდენად, საგამოძიებო ორგანოს მიერ დადგენილი იქნა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამდებობის პირები მოქმედებდნენ კანონმდებლობის შესაბამისად და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში იყო მოქცეული. შუამდგომლობას ასევე ერთვოდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 7 თებერვლის 1კ-288/15 ექსპერტიზის დასკვნა, რომლის დასკვნითი ნაწილის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქუჩის 137-39-ში, გამაგრებითი პროექტის შესაბამისად, სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მშენებარე სახლის მშენებლობის პროცესის გაგრძელება და დასრულება ვერ მოახდენდა გავლენას ... ქ. 141-ში არსებული შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, ხოლო ... ქუჩის 137-39-ში მშენებლობის შეჩერებას შეეძლო გამოეწვია ქვაბულის მთელი პერიმეტრის კედლებისა და ... ქუჩის დაზიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერებით, შესაძლებელი იყო ზიანი მიდგომოდა და საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყო ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, რაც გამოწვეული იქნებოდა, როგორც ატმოსფერული ნალექებისა და გარემო პირობების ზემოქმედებით, ასევე მშენებლობის ხანგრძლივი დროით გაჭიანურებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილი იყო, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შეეცვალა ან გაეუქმებინა განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ. შესაბამისად, შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, რაც სააპელაციო სასამართლოსთვის არ იყო ცნობილი 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების მიღების დროისთვის, წარმოადგენდა ამ განჩინების გაუქმების საფუძველს.

მანამდე, 2008 წლის 24 ნოემბერს შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს ამავე პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ყველა სააღსრულებო მოქმედების შეჩერება, ასევე უზრუნველყოფის წარმოდგენლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის შესახებ განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის საოქმო განჩინებით, 13ბ/1371-08 საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ შპს «...», შპს «...» და შპს «...». იმავე სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი იყო 2 განცხადება და ორივე შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» მიერ, რომელთაგან პირველად უნდა განხილულიყო ბათილობის თაობაზე განცხადების გამო 13ბ/1640-08 ადმინისტრაციული საქმე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის კიდევ ერთი საოქმო განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდა 13ბ/1371-08 საქმის წარმოება, დავის საგნის ფაქტობრივად არარსებობის გამო, ვინაიდან გაუქმდა სადავო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს მ. კ-შვილმა და მ. ნ-შვილმა, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმებაზე უარის თქმა.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე გამოტანილი განჩინების გაუქმების თაობაზე განცხადების ავტორები – შპს «...», შპს «...» და შპს «...», ამ განჩინების მიღებისას, არ წარმოადგენ-

დნენ საქმეში არც მოსარჩელებს, არც მოპასუხეებს და არ ყოფილან ჩართული საქმეში არც მესამე პირებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით. აქედან გამომდინარე, შპს «...», შპს «...» და შპს «...» არ წარმოადგენენ პროცესის იმ სუბიექტებს, რომლებსაც კანონმა მიანიჭა უფლებამოსილება, მოითხოვონ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე გამოტანილი განჩინების გაუქმება, რის გამოც ამის თაობაზე მათი განცხადება, დაუშვებელია და სასამართლოს იგი განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» განცხადება დასაშვები რომც იყოს, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილში არ არის მითითება იმაზე, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად და აღნიშნულის დასადგენად უნდა მივმართოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლს, რომელიც შეიცავს იმ გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის «ე»-»-ჯ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე. ამდენად, სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე გამოტანილი განჩინების გაუქმების თაობაზე თავის განჩინებაში უნდა მიეთითებინა იმ კონკრეტულ საპროცესო-სამართლებრივ ნორმაზე, რომლის საფუძველზეც მოხდა ამა თუ იმ გარემოების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევა, რაც სასამართლომ არ გააკეთა. გარდა ამისა, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, რომ მხარეს თავის ბრალის გარეშე, არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ დასდებია არც ერთი ჩამოთვლილი აქტი. ის გარემოება, რომ შემდგომში შესაბამის საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახალ გარემოებად და იმის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ მეზობელ მიწის ნაკვეთზე წარმოებული მშენებლობით კერძო საჩივრის ავტორებს ზიანი არ მისდგომიათ. თანამდებობის პირის ქმედებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საფუძვლის არარსებობა (რაც დღეისათვის ჯერ კიდევ სადავოა) არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის სრული დაცვით. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება ვერ მიიჩნევა ისეთ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომლის გამო, უპირობოდ უნდა გაუქმდეს განჩინება, რომელსაც საფუძვლად დაედო ზიანის არსებობის დამადასტურებელი ზემოხსენებული მტკიცებულებები, კერძოდ: «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» მიერ 2008 წლის 21 აპრილს გაცემული 'კ-965/15 ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, ... ქ. 141-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ... ქ. 137-39-ში მშენებარე შენობის ქვაბულის ამოღებით მიყენებული დაზიანების აღდგენა, ისე, რომ იგი მოყვანილ იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში, შეუძლებელია და ... ქ. 141-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ სსიპ «კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის» 2007 წლის 19 ნოემბრის 1612-02-07 დასკვნა. აღნიშნული მტკიცებულებები საქმეშია და ისინი არავის უარუყვია, ხოლო რაიმე საპირისპირო მტკიცებულება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილად, განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, რაც შეეხება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 7 თებერვლის 'კ-288/15 საექსპერტო დასკვნას, მასში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ... ქ. 137-39-ში გამაგრებითი პროექტის შესაბამისად სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მშენებარე სახლის მშენებლობის გაგრძელება და დასრულება ვერ მოახდენს გავლენას მათი საცხოვრებელი სახლის არსებულ ტექნიკურ მდგომარეობაზე. რაც შეეხება იმას, რომ მშენებლობის შეჩერებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ქვაბულის მთელი პერიმეტრის კედლისა და ... ქუჩის დაზიანება, მშენებლობა დიდი ხანია გასცდა ქვაბულის ამოთხრის სტადიას და მიმდინარეობს შენობის მე-6 სართულის მშენებლობა და ამდენად, ხსენებული არგუმენტიც მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის მიერ კერძო საჩივრის საპროცესო საფუძვლად იმაზე მითითებას, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე გამოტანილი განჩინების გაუქმების თაობაზე განცხადების ავტორები – შპს «...», შპს «...» და შპს «...», ამ განჩინების მიღებისას, არ წარმოადგენდნენ საქმეში არც მოსარჩელებს, არც მოპასუხეებს და არ ყოფილან ჩართული საქმეში არც მესამე პირებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით და აქედან გამომდინარე, შპს «...», შპს «...» და შპს «...» არ წარმოადგენენ პროცესის იმ სუბიექტებს, რომლებსაც კანონმა მიანიჭა უფლებამოსილება, მოითხოვონ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე გამოტანილი განჩინების გაუქმება, რის გამოც ამის თაობაზე მათი განცხადება, დაუშვებელია და სასამართლოს იგი განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და კერძო საჩივრის ავტორების ყურადღებას, პირველ ყოვლისა, მიაპყრობს იმაზე, რომ საერთოდ, მოცემული საქმის წარმოება დაიწყო 2008 წლის 31 ივლისს მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ, სარჩელის აღძვრით და მოსარჩელებმა, მათ შორის, მოითხოვეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 აგვისტოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი და შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შეჩერდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება. ამასთან, აღნიშნული სარჩელის გამო საქმეს მიენიჭა შემდეგი ნომერი – 13/1836-08. 2008 წლის 24 ნოემბერს შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს ამავე პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ყველა სააღსრულებო მოქმედების შეჩერება, ასევე, უზრუნველყოფის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის შესახებ განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა. ხსენებული განცხადების გამო საქმეს მიენიჭა შემდეგი ნომერი – 13ბ/1371-08. 2008 წლის 1 დეკემბერს შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს ამავე პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული, 2008 წლის 1 დეკემბრის განცხადების გამო საქმეს მიენიჭა შემდეგი ნომერი – 13ბ/1640-08. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ორივე დასახელებული განცხადება, მიუხედავად მათთვის სხვადასხვა ნომრის მინიჭებისა (რაც გამოწვეული იყო არა იმით, რომ სახეზე იყო სხვადასხვა საქმე, არამედ – ერთი და იმავე სუბიექტების მიერ, ერთსა და იმავე განჩინებაზე ორი სხვადასხვა განცხადების შეტანით), ერთი საქმის ფარგლებში, ერთ სასამართლო სხდომაზე, ერთი და იმავე შემადგენლობით, კანონით დადგენილი თანმიმდევრობით განიხილა და 2008 წლის 2 დეკემბრის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ შპს «...», შპს «...» და შპს «...». იმავე სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი იყო 2 განცხადება და ორივე შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» მიერ, რომელთაგან პირველად უნდა განხილულიყო ბათილობის თაობაზე განცხადების გამო 13ბ/1640-08 ადმინისტრაციული საქმე. მართალია, აღნიშნული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 13ბ/1371-08 საქმეზე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის კიდევ ერთი საოქმო განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდა 13ბ/1371-08 საქმის წარმოება, დავის საგნის ფაქტობრივად არარსებობის გამო, ვინაიდან გაუქმდა სადავო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს 13ბ/1371-08 საქმის წარმოების შეწყვეტასთან ერთად, შპს «...-ის», შპს «...-ისა» და შპს «...-ის» საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმის შეწყვეტას და მათი, როგორც მესამე პირების საპროცესო

სო სტატუსის გაუქმებას. ამდენად, შპს «...», შპს «...» და შპს «...» მოცემულ საქმეში ამჟამად მონაწილეობენ, როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ხოლო შპს «...», შპს «...» და შპს «...» არიან ამგვარი სამართალურთიერთობის მონაწილენი, რადგან საქმეში წარმოდგენილი, 2007 წლის 1 მაისს შპს «...-ს», შპს «...-სა» და შპს «...-ს» (შემდგომში – შპს «...») შორის «ნარდობის ხელშეკრულების შესახებ სანოტარო აქტის» მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შპს «...-ისა» და შპს «...-ის» თანასაკუთრებაშია 1999 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. 137-39-ში, მათ შორის, შპს «...-ის» – 1456 კვ.მ და შპს «...-ის» – 543 კვ.მ, ხოლო შპს «...-მა», როგორც მენარდემ, ვალდებულია აიღოს, შპს «...-ისა» და შპს «...-ის» საკუთრებაში არსებულ 1999 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. 137-39-ში, აეშენებინა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა. ამასთან, მოცემული საქმის განხილვა არ დამთავრებულა და სარჩელი უნდა განიხილოს პირველი ინსტანციის სასამართლომ. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის სხდომას პირადად ესწრებოდა მ. ნ-შვილი, ასევე, მ. კ-შვილის წარმომადგენელი ც. დ-შვილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს, ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების, ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა. ამ მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების მიხედვით, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ მუხლის პირველი ნაწილის «ე», «ვ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებსზე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის მიერ კერძო საჩივრის საფუძველად იმაზე მითითებასაც, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ დასდებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტში ჩამოთვლილი არც ერთი აქტი და ის გარემოება, რომ შემდგომში შესაბამის საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახალ გარემოებად, თანამდებობის პირის ქმედებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საფუძველის არარსებობა (რაც დღეისათვის ჯერ კიდევ სადავოა) კი არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის სრული დაცვით, ხოლო განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილში არ არის მითითება იმაზე, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, მაგრამ ამ ნაწილის ნორმას, მიმართება გააჩნია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლთან, რომელიც კი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრებასა და საქმის წარმოების განახლების საფუძველების ფართო და ამომწურავ ჩამონათვალს, მაგრამ მასში მოყვანილი საფუძველები გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილში მოცემული ინდივიდუალური ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმებასთან მიმართებაში ახლად აღმოჩენილი გარემოების კონკრეტიზებისას, ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საქმის ისედაც წარმოებაში არსებობის გამო, გამოირიცხულია საუბარი კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) ისევე, როგორც, შესაბამისად, საქმის წარმოების განახლებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამდებობის პირები მოქმედებდნენ კანონმდებლობის შესაბამისად და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებშია მოქცეული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებას, რომლითაც საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შეჩერდა პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ოქტომბრის '03/1156 ბრძანებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის '5/1108 ბრძანების მოქმედება, საფუძვლად დაედო შემდეგი მტკიცებულებები და გარემოებები: ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2008 წლის 21 აპრილს გაცემული 'კ-965/15 ექსპერტიზის დასკვნა, სსიპ «კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდეგობის ინსტიტუტის» 2007 წლის 19 ნოემბრის '612-02-07 დასკვნა და 2008 წლის 14 მაისს ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში '010088120 სისხლის სამართლის საქმეზე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის თანამდებობის პირების მიერ ... ქ. '137-39-ში მშენებლობის ნებართვის გაცემისას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, გამოძიების დაწყება.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლებმა – შპს «...-მა», შპს «...-მ» და შპს «...-მა» თავიანთ 2008 წლის 1 დეკემბრის განცხადებას მტკიცებულებებად დაურთეს '010088120 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის პროკურატურის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილება და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 7 თებერვლის 'კ-288/15 ექსპერტიზის დასკვნა, როგორც ახალი (გარემოებების შემცველი) მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს, რომ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 7 თებერვლის 'კ-288/15 ექსპერტიზის დასკვნა ამ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ახალ მტკიცებულებად, რადგან ხსენებული მტკიცებულება წარმოდგენილი იყო საქმეში და ამ დასკვნის შესახებ ცნობილი იყო სასამართლოსათვის, თუმცა სასამართლოს იგი საერთოდ არ გამოუყენებია და 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების მიღებისას მიუთითა მხოლოდ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 21 აპრილის 'კ-965/15 ექსპერტიზის დასკვნასა და ... ქ. '141-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ სსიპ «კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდეგობის ინსტიტუტის» 2007 წლის 19 ნოემბრის '612-02-07 დასკვნაზე, მაშინ, როდესაც ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 7 თებერვლის 'კ-288/15 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქუჩის '137-39-ში, გამაგრებითი პროექტის შესაბამისად, სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მშენებარე სახლის მშენებლობის პროცესის გაგრძელება და დასრულება ვერ მოახდენს გავლენას ... ქ. '141-ში არსებული შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, ხოლო ... ქუჩის '137-39-ში მშენებლობის შეჩერებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ქვაბულის მთელი პერიმეტრის კედლებისა და ... ქუჩის დაზიანება. ამდენად, მართალია, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 7 თებერვლის 'კ-288/15 ექსპერტიზის დასკვნა არ არის ახალი მტკიცებულება, მაგრამ კონკრეტული საკითხისათვის განსაკუთრებით არსებითი და უმნიშვნელოვანესია ამ დასკვნის ის ნაწილი, სადაც საუბარია მშენებლობის შეჩერების შემთხვევაში, ქ. თბილისის ერთ-ერთი მთავარი ქუჩის – ... ქუჩის შესაძლო დაზიანებაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის ნორმებით კომპლექსურად განსაზღვრული საფუძველი, კერძოდ, განმცხადებელი მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი მტკიცებულება და შესაბამისად, გარემოებაც, რომელიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი განჩინების მიღებას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და კერძო საჩივრის ავტორთა ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, რომ შპს «...-ს», შპს «...-სა» და შპს «...-ს», როგორც ამ საქმის მხარეებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თავიანთი ბრალის გარეშე არ ჰქონდათ შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების მიღების დროს მიეთითებინათ '010088120 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის პროკურატურის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილებაზე, რომელიც ახალი მტკიცებულება – გამოცემულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინების მიღების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **1010088120** სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის პროკურატურის **2008** წლის **28** ნოემბრის დადგენილების თანახმად, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩის **137-39**-ში არსებული სახლის სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, საქართველოს მთავრობის **2005** წლის **11** აგვისტოს **1140** დადგენილებისა და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის **2001** წლის **18** სექტემბრის **157** ბრძანების მოთხოვნათა დაცვით და შეთანხმებულ პროექტში გათვალისწინებული შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ასევე მშენებლის მიერ ადგილი არ ჰქონია უძრავი ძეგლის დაზიანებას. ამდენად, **1010088120** სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის პროკურატურის **2008** წლის **28** ნოემბრის დადგენილებით დადასტურებულია ქ. თბილისში, ... ქუჩის **137-39**-ში არსებული სახლის მშენებლობის კანონიერება, რამაც იურიდიული საფუძველი გამოაცალა კერძო საჩივრის ავტორთა მტკიცებას გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულებითა და მშენებლობის პროცესის გაგრძელებით მათთვის არსებითი ზიანის მიყენების თაობაზე. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორების მიერ შესაბამისი თანამდებობის პირის ქმედებაში სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საფუძვლის არარსებობის ეჭვქვეშ დაყენება და დღეისათვის მისი ჯერ კიდევ სადავოობა არ დასტურდება ამ საქმის მასალებით. უსაფუძვლოა კერძო საჩივრების ავტორების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება ვერ მიიჩნევა ისეთ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომლის გამო, უპირობოდ უნდა გაუქმდეს განჩინება, რომელსაც საფუძვლად დაედო ზიანის არსებობის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილ შესაბამის მტკიცებულებათა ფარგლებში და ობიექტურად არსებული რეალობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერებით, შესაძლებელია, ზიანი მიადგეს და საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, რაც გამოწვეული იქნება, როგორც ატმოსფერული ნალექებისა და გარემო პირობების ზემოქმედებით, ასევე მშენებლობის ხანგრძლივი დროით გაჭიანურებით.

ამასთან, გარდა ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციისა, საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების არაცალმხრივი მიზანშეუწონლობისა და მათ შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008** წლის **2** დეკემბრის განჩინების კანონიერებაზე დასკვნის დამატებით გასამყარებლად მიუთითებს გასაჩივრებული აქტების გამომცემი ორგანოს – საქმეში მონაწილე კონკრეტული სუბიექტის – ერთ-ერთი მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის (ამჟამად – სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური) წარმომადგენლის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008** წლის **2** დეკემბრის სხდომაზე ნათლად გამოხატულ პოზიციასა და ცალსახად გაკეთებულ განმარტებაზე იმის შესახებ, რომ სასამართლოს უნდა გაეზიარებინა ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობა, რადგან ამ სიტუაციაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ იყო გამართლებული, მშენებლობა კი წარმოებდა კანონიერად და შეთანხმებული იყო შესაბამის ინსტანციებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების იურიდიული საფუძველი, რის გამოც ხსენებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **419-ე, 420-ე** მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. კ-შვილისა და მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008** წლის **2** დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

### განჩინება

18ს-101-96(კს-09)

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 23 ივლისს ვ. გ-ვამ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, საქმის წარმოების განახლება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსთვის ვ. გ-ვას სასარგებლოდ ერთჯერადი დახმარების – 4 თვის ხელფასის ოდენობით კომპენსაციის ანაზღაურება 2147,44 ლარის ოდენობით, ნაცვლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი 1365,31 ლარისა შემდეგი საფუძვლით:

განმცხადებლის მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. გ-ვას სარჩელი და მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი ხელფასის 504,4 ლარის, ასევე, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების – 4 თვის ხელფასის 1365,31 ლარის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. გ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მიერ სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი ხელფასის – 504,4 ლარისა და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების – 1365,31 ლარის ანაზღაურება, რაც უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით. სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ცნობას, რომლის თანახმად, ვ. გ-ვას ხელფასი გათავისუფლების დროისათვის შეადგენდა 341,33 ლარს, მათ შორის, ძირითადი ხელფასი – 330 ლარს, წოდების თანხა – 11,33 ლარს.

განმცხადებლის მითითებით, სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, ვ. გ-ვამ ეჭვი შეიტანა ცნობის სისწორეში, რომელიც მოპასუხემ წარადგინა სასამართლოში და გამოითხოვა ინფორმაცია თბილისის მთავარი სამმართველოს საფინანსო განყოფილებიდან. 2007 წლის 30 მაისის 127/816-გ/4 მომართვის თანახმად, 2005 წლის ივნისში ვ. გ-ვას ძირითადი ხელფასი შეადგენდა 330 ლარს, წოდება – 11,33 ლარს, წელთა ნამსახურება 136,53 ლარს, ულუფა – 59 ლარს, სულ – 536,86 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ვ. გ-ვას განცხადება განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-ვას განცხადება დარჩა განუხილველად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.1 და 423.2, 429-ე მუხლებით და მიუთითა, რომ განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს 127/816-გ/4 ცნობაზე, რომლის შინაარსიც ვ. გ-ვამ იცოდა 2007 წლის 30 მაისს. განცხადება კი შეიტანა 2008 წლის 23 ივლისს, კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული ახლად აღმოჩენილად, რადგან ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულება, რომელიც გამოვლინდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვ. გ-ვამ კი 127/816-გ/4 ცნობის შესახებ შეიტყო საქმის განხილვის სტადიაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-ვამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი, განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია.

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ 127/816-გ/4 ცნობის შესახებ ვ. გ-ვამ შეიტყო საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რის გამოც 2007 წლის 6 ივნისს მიმართა განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს და სსსკ-ის 423-ე, 424-ე, 426-ე და 427-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება, რაც დაუშვებლად მიიჩნია საქალაქო სასამართლომ.

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გასაჩივრების ერთთვის ვადის დარღვევის შესახებ, რადგან საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ფოსტის მეშვეობით ვ. გ-ვას ჩაჰბარდა 2008 წლის 18 ივლისს, ხოლო განცხადება შეიტანა 2008 წლის 23 ივლისს, კანონით დადგენილი ვადის დაცვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვ. გ-ვას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. სსსკ-ის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 423.3 მუხლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მითითებული საფუძველით დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სსსკ-ის 264-ე-265-ე მუხლების შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილების გაუქმებას და დასრულებული საქმის წარმოების განახლებას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძველად დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ვ. გ-ვას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არსებითად სწორად მიიჩნია დაუშვებლად, რადგან სახეზე არ იყო სსსკ-ის 423.3 და 429-ე მუხლებით განსაზღვრული განცხადების დასაშვებობის წინაპირობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილების უფროსის 2007 წლის 30 მაისის 127/816-გ/4 მიმართვის შესახებ ვ. გ-ვასათვის ცნობილი გახდა 2007 წლის 30 მაისიდან 6 ივნისამდე პერიოდში, როდესაც სამართალწარმოება არ იყო დასრულებული. ამდენად, დადგენილია, რომ ვ. გ-ვასათვის ახალი გარემოების შესახებ ცნობილი არ გამხდარა საქმის წარმოების დასრულებისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წარდგენის წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძველოა კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ახალი გარემოების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, როდესაც საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იყო, ხოლო სსსკ-ის 381-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა ან გაზრდა დაუშვებელია, რადგან საქმის წარმოება გულისხმობს ერთიან პროცესს და მასში მოიზარება სამართალწარმოება როგორც პირველი, ასევე, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში. ამასთან, ცნობა, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, წარდგენილი იყო საქალაქო სასამართლოში და ვ. გ-ვას შესაძლებლობა ჰქონდა, საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე სცოდნოდა მის შესახებ, მით უფრო, რომ საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 მაისის სხდომაზე წარადგინა მოპასუხემ აღნიშნული მტკიცებულება, იგი გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ვ. გ-ვა და მისი წარმომადგენელი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას განცხადების დაუშვებლობის შესახებ, ასევე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია განმცხადებლის მიერ მითითე-



ბული ცნობა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რადგან იგი წარმოადგენს ახალი სარჩელის საგანს და არა დასრულებული საქმის წარმოების განახლებისა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად საქმის გადასინჯვის წინაპირობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, არ არსებობს სსსკ-ის 423.3 მუხლით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებად ცნობის წინაპირობა, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. გ-ვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

#### **განჩინება**

18-3859-27(ა-08)

8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

15.12.05წ. ნ. მ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 25.10.06წ. გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.06.07წ. განჩინებით ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.03.08წ. განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.06.07წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.08წ. განჩინებით ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 25.10.06წ. გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.11.08წ. განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.08წ. განჩინება ნ. მ-ძის წარმომადგენელს ჩაჰბარდა 07.08.08წ-ს. ნ. მ-ძემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.08წ-ს. განჩინება საკასაციო წესით 26.09.08წ. გაასაჩივრა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრებული იქნა გასაჩივრების 1-თვიანი ვადის დარღვევით, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

**29.12.08წ. ნ. მ-მ** განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **22.07.08წ.** განჩინება **07.08.08წ. ნ. დ-მ**ს ჩაჰბარდა, რომელიც იცავდა მის ინტერესებს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ნ. დ-მ არ გააჩნდა ადვოკატის მოწმობა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მის ინტერესებს იცავდნენ უკვე სხვა წარმომადგენლები; თ. კ-შვილი და ჯ. ს-ძე. ნ. დ-მსთან ურთიერთობა მას აღარ ჰქონდა და, შესაბამისად, არ იცოდა მისთვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **22.07.08წ.** განჩინების გადაცემის ფაქტი. ამასთანავე, ნ. დ-მ არ გააჩნია იურიდიული განათლება და არ აქვს ჩაბარებული ადვოკატის სასერთიფიკატო გამოცდები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალებისა გაცნობის, ნ. მ-მის განცხადების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-მის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **22.07.08წ.** განჩინება ნ. მ-მს, ნ. დ-მს და ნ. მ-მის წარმომადგენელს **05.08.08წ.** გაეგზავნათ. ნ. დ-მს გზავნილი პირადად ჩაჰბარდა **07.08.08წ. ნ. მ-მ**ის საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური ხელმოწერილია ზ. ბ-მის მიერ. საქმის მასალებში დაცულია **12.12.05წ. 11-16859** რეგისტრირებული რწმუნებულება, რომელიც გაფორმებულია **3** წლის ვადით და ნ. დ-მის მიერ სააპელაციო სასამართლოს გზავნილის ჩაბარების დროს ძალადაკარგული არ ყოფილა. აღნიშნული რწმუნებულების თანახმად, რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, რისთვისაც რწმუნებული წარმოადგენს მარწმუნებელს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის საქმეს. ამავე რწმუნებულებაში აღნიშნულია, რომ რწმუნებული ვალდებულია, რწმუნებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს პირადად, კეთილსინდისიერად, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ ჩააბაროს ანგარიში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. დ-მე უფლებამოსილი იყო, ჩაებარებინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **22.07.08წ.** განჩინება, რასაც ადასტურებს ასევე ის ფაქტი, რომ ნ. დ-მს გზავნილის ჩაბარებაზე უარი არ განუცხადებია და ხელმოწერით დაამოწმა გზავნილის ჩაბარების ფაქტი.

სსკ-ის **397-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა **1** თვე. ამ ვადის გაგრძელება(აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის **მე-2** ნაწილით განსაზღვრულია, რომ გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის **70-ე-78-ე** მუხლების შესაბამისად. სსკ-ის **70-ე** მუხლის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის **74-ე** მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

ის ფაქტი, რომ ნ. მ-მის წარმომადგენელ ნ. დ-მს ჩაბარებული არ ჰქონდა ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, არ ქმნის საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. მ-მის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. სსკ-ის **440-ე** მუხლის თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, რაც არ უკრძალავს რწმუნებულს სასამართლო გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას და არ ათავისუფლებს აღნიშნულის შესახებ მარწმუნებლისათვის შეტყობინების ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **22.07.08წ.** განჩინების ასლი აგრეთვე გაეგზავნა ნ. მ-მს. საქმეში დაცულია ჩაბარების დასტური, რომლის თანახმად, გზავნილი **22.08.08წ.** ჩაიბარა სოფლის რწმუნებულმა ზ. ბ-მემ. შპს «სკს-ს» **30.04.09წ.** ცნობით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გზავნილი ზ. ბ-მს გადაეცა ნ. მ-მის ნებართვით, რომელსაც შპს «სკს-ს» თანამშრომელი დაუკავშირდა ტელეფონის საშუალებით. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო საჩივარი ნ. მ-მს სასამართლოში **26.09.08წ.**, ერთი თვის გასვლის შემდეგ აქვს წარდგენილი.

სსკ-ის **423-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ცნობილი რომ ყოფილიყო სასამართლოსათვის, არ გამოიწვევდა განსხვავებული გადაწყვეტილების მიღე-

ბას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. მ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. მ-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.11.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უარი საქმის წარმოების განახლებაზე**

#### **განჩინება**

18-242-1(ა-09)

15 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. ქადაგიძე,**  
**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.11.08წ. განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.11.08წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათიდან დგინდებოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურ ცენტრს 01.08.08წ. ჩაჰბარდა, შესაბამისად, მას საკასაციო საჩივარი უნდა შეეტანა 02.09.08წ. ჩათვლით, მან კი სასამართლოს საკასაციო საჩივრით 04.09.08წ. მიმართა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა 20.01.09წ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც ამვე სასამართლოს 20.11.08წ. განჩინების გაუქმება და საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა წარმოადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) «შემოსული წერილების» სააღრიცხვო ჟურნალისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლები. განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული ასლებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 27.06.08წ. განჩინება განმცხადებელს 04.08.08წ. ჩაჰბარდა, რომელიც მის მიერ 04.09.08წ. იქნა გასაჩივრებული, ანუ კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.06.08წ. განჩინება 01.08.08წ. გადაეცა. საქმის მასალებში დაცულ კონვერტზე, რომლითაც საკასაციო საჩივარი გაეგზავნა სასამართლოს, დასმული ფოსტის შტამბიდან დასტურდება, რომ თელავის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი ფოსტას 04.09.08წ. ჩაჰბარდა, რასაც არც განცხადების ავტორი უარყოფს. საკასაციო პალატა შპს «სკს-ს» ადმინისტრატორის წერილით, რომელსაც თან ერთვის 31.07.08წ. 1513/11 რეესტრი, დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13ბ/801-08 საქმეზე 31.07.08წ. გზავნილი ადრესატს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 01.08.08წ. ჩაჰბარდა, რაც დასტურდება საქმეში დაცულ შეტყობინების ბარათზე დასმული თარიღითაც, ხოლო ხელმოწერილი შეტყობინების ბარათი სააპელაციო სასამართლოს 04.08.08წ. წარედგინა, რაც დადასტურებულია 1513/11 რეესტრით და თავისთავად გამორიცხავს ამავე დღეს ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარებას. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს შპს «სკს-ს» ადმინისტრატორის განმარტებას, რომ 01.08.08წ. თელავის რეგიონალურმა ცენტრმა სააპელაციო სასამართლოდან კიდევ სამ საქმეზე მიიღო გზავნილი, რომლებზეც სააპელაციო სასამართლოს პასუხი 04.08.08წ. წარედგინა. თელავის რეგიონალური ცენტრს არ წარმოუდგენია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.06.08წ. განჩინების 04.08.08წ. ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. 31.07.08წ. სასამართლოს მიმართვაზე დასმული თელავის რეგიონალური ცენტრის შტამბი და კორესპონდენციის რეგისტრაციის სააღრიცხვო ჟურნალი ექვს იწვევს, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მხარის მიერ შექმნილ მტკიცებულებას, რომელიც არ ესადაგება შპს «სკს-ს» გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათს და 31.07.08წ. 1513/11 რეესტრს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ვერ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში შეტანილად. არსებობდა გასაჩივრების ვადის დარღვევის მოტივით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ თელავის რეგიონალური ცენტრის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.11.08წ. განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) განცხადება არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.11.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე

### განჩინება

18ს-302-292(კს-09)

23 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით დუშეთის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა დუშეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჩ. ბ. დის, რ. დ-მისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდა. დუშეთის რაიონის გამგეობას დაეკისრა: გ. კ-შვილის სასარგებლოდ ერთდროულად 1410 ლარისა და ყოველთვიური სარჩოს – 15 ლარის გადახდევინება 2003 წლის სექტემბრიდან, რაც უვცლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 15 აპრილის განჩინებით.

2006 წლის 15 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების გ. კ-შვილის ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გ. კ-შვილის საპროცესო უფლებამონაცვლედ დადგინდა მისი მეუღლე – ლ. კ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო, ხოლო დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ – დუშეთის მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტის გამგეობა და მუნიციპალიტეტის საკრებულო).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლის) განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით გ. კ-შვილის ნაწილში გაუქმებისა და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.1. მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წამოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ის გარემოება, რომ საქმის განხილვის დროს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დადგენილი იყო, რომ დამსაქმებლის ლიკვიდაციის

შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით გამგეობის სოციალურ განყოფილებებს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მითითებულ ბრძანებულებაში **2006 წლის 25** იანვრიდან ამოქმედებული შეტანილი ცვლილებით (**20.02.06**) სსიპ «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა **100%**-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლება მონაცვლე არ ჰყავთ, საწარმო ტრამვით დაზარალებულ პირთა აღრიცხვა, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშება, გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **423.3**. მუხლით გათვალისწინებულ იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს, რაც გამოიწვევს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ **2004 წლის 09** იანვარს გამოტანილი გადაწყვეტილების ნაწილის (გ. კ-შვილის ნაწილში) გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ვინაიდან, ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანა არ ჩაითვლება იმ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **423.3**. მუხლით დადგენილი წესით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

ამასთან, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სარჩელი სასამართლოში აღძრულ იქნა მოსარჩელე გ. კ-შვილის (სულ – **13** ფიზიკური პირის) წარმომადგენლის, ადვოკატ ვ. რ-შვილის მიერ **2002 წლის 26** ნოემბერს. მოსარჩელე გ. კ-შვილს სასამართლოში საქმის განხილვის მთელ პერიოდში წარმოადგენდა ადვოკატი ვ. რ-შვილი. გ. კ-შვილი გარდაიცვალა **2003 წლის 16** ნოემბერს, სადავო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა **2004 წლის 09** იანვარს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **721.1** მუხლის თანახმად, ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის დადგომის გამო, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, რწმუნებული ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაყოვნება მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეებს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს; ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად, ხოლო მესამე პუნქტის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, მაშინ იგი ჩაითვლება რწმუნებულისათვის გაგრძელებულად, ვიდრე მას არ ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების შესახებ.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის **1999 წლის 9** თებერვლის **148** ბრძანებულებაში **2006 წლის 25** იანვარს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სააგენტოს დაევალა **100%**-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლება მონაცვლე არ ჰყავთ, საწარმოო ტრამვით დაზარალებულ პირთა აღრიცხვა, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშება და გაცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. შესაბამისად, სააგენტო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო და ინტერესებული და ვალდებულია ამ სახის გასაცემლების დაანგარიშება-გაცემის კანონშესაბამისობაზე და ტრამვირებულ პირთა სწორ აღრიცხვაზე. სააგენტომ განახორციელა აღნიშნულ პირთა საქმეების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გაირკვა, რომ აწ გარდაცვლილი გ. კ-შვილის საქმეში არ იძებნებოდა ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა გ. კ-შვილის სამართლებრივი ინტერესების დადგენა, ხოლო სასამართლოს აღნიშნული დოკუმენტების გამოკვლევის გარეშე ჰქონდა საქმე განხილული და გადაწყვეტილება გამოტანილი, მანამ სანამ ეს საქმეების სააგენტოს გადაეცემოდა. გ. კ-შვილის უფლებამონაცვლის ლ. კ-შვილის მხრიდან, მოთხოვნის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ (**2006 წლის 18** აპრილი), გაირკვა რომ მის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება კანონშესაბამო იყო და მისი აღსრულება გამოიწვევდა სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ და არასწორ ხარჯვას.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გ. კ-შვილის გარდაცვალების ცნობიდან ირკვევა, რომ იგი გარდაიცვალა **2003 წლის 16** ნოემბერს და გარდაცვალების მიზეზი არ ყოფილა საწარმოო ტრამვა, შესაბამისად სააგენტოს არ შეიძლება სცოდნოდა აღნიშნულ გარემოებაზე, ვინაიდან, საქმის განხილვის დროს სააგენტო არ წარმოადგენდა მხარეს სასამართლოში, ხოლო სასამართლოს მხრიდან არ გამოკვლეულა და სწორი შეფასება არ მისცემია გ. კ-შვილის მოთხოვნის კანონიერებას. სასამართლომ ასევე არ იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის **1008-ე** მუხლით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებზე.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა სპეციალური ნორმა, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის **1999 წლის 9** თებერვლის **148** ბრძანებულება რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი განჩინების მიღება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008 წლის 16** დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანა არ ჩაითვლება იმ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რაც შეიძლება იქცეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წინაპირობებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

გამომდინარე იქიდან, რომ კერძო საჩივრის ავტორი (განმცხადებელი) არ აკონკრეტებს, ზემოაღნიშნული მუხლის რომელი ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვს საქმის წარმოების განახლებას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მოთხოვნა სავარაუდოდ ეფუძნება მითითებული მუხლის «დ» ქვეპუნქტს. კერძოდ, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 25 იანვრიდან, სსიპ «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამოსილებით არ ჰყავთ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა აღრიცხვა, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშება, გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, ის როგორც ამ ეტაპზე უფლებამოსილი პირი კანონმდებლობით მიიჩნევს გ. კ-შვილისათვის სარჩოს გაცემას და ითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების გ. კ-შვილის ნაწილში გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო მითითებულ მოთხოვნას მიიჩნევს უსაფუძვლოდ და თავის მხრივ კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები) სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს საქმის წარმოების განახლებაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ ერთ-ერთი მხარე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას მიიჩნევს უკანონოდ. საქმის წარმოების განახლებისათვის სავალდებულოა, განმცხადებლის მხრიდან წარმოდგენილი იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძველი. როგორც აღინიშნა, კერძო საჩივარი არ შეიცავს მითითებას, თუ რომელ საფუძველზე დაყრდნობით ითხოვს კერძო საჩივრის ავტორი განცხადების დაკმაყოფილებას. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ეფუძნება სსკ-ის 423-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომელიც იძლევა ზემოაღნიშნული მუხლის შემადგენლობას და არსებითად ეწინააღმდეგება სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპს.

საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას წარმომადგენლის უფლებამოსილების თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების მართებულობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სარჩელის აღძვრის შემდეგ გარდაიცვალა და საქმის წარმოება განაგრძო წარმომადგენელმა, რომლის უფლებამოსილებაც სადავოდ არ არის გამხდარი აწ გარდაცვლილის უფლებამონაცვლის მიერ, არ იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს, რაც გამოიწვევდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უარი საქმის წარმოების განახლებაზე**

#### **განჩინება**

18-392-9(ა-09)

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**პ. სილაგაძე**

**გასაჩივრებული განჩინება:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ გ. კ-შვილის საკასაციო საჩივარს თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, ხოლო კასატორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლზე მითითებით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, აღნიშნული მუხლის თანახმად კი სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეეძლო ერთი ან ორივე მხარისათვის გადაევადებინა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეემცირებინა მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენდა უტყუარ მტკიცებულებებს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორი ვერ ასაბუთებდა სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და მას საკასაციო სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია უტყუარი მტკიცებულებები აღნიშნულის თაობაზე, რის გამოც არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით გ. კ-შვილს დაევალა, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით განუხილველი დარჩა გ. კ-შვილის წარმომადგენლების – ე. ბ-იასა და ტ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი; გ. კ-შვილს დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინებებიდან ირკვეოდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინება, საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართებზე, გ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილს (ქ. თბილისი, ... 119, ოფისი 33) ჩაჰბარდა 2008 წლის 10 ნოემბერს, ხოლო გ. კ-შვილს (ხელვაჩაური, სოფ. ..., ბათუმის 1... საპყრობილე) – 2008 წლის 17 ნოემბერს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლებოდა, თუ იგი ჩაჰბარდებოდა ერთ-ერთ მათგანს. ამდენად, თუ სასამართლო უწყება ჩაჰბარდა მხარის წარმომადგენელს, იგი მხარისთვისაც ჩაბარებულად ჩაითვლებოდა.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინება გ. კ-შვილის



წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 10 ნოემბერს და შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა გ. კ-შვილს ამოეწურა 2008 წლის 17 ნოემბერს, თუმცა კასატორს მისთვის მიცემულ ვადაში არ შეუვსია ხარვეზი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოში ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება ტ. ჩ-შვილმა წარმოადგინა 2008 წლის 18 ნოემბერს, რომელსაც დაურთო სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. ამდენად, კასატორმა დაარღვია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით განსაზღვრული ხარვეზის შევსების ვადა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება გ. კ-შვილის წარმომადგენლების – ე. ბ-იასა და ტ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

2009 წლის 30 იანვარს გ. კ-შვილის წარმომადგენელმა ტ. ჩ-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და მოითხოვა საქმის არსებითად განხილვა.

განმცხადებლის განმარტებით, ტ. ჩ-შვილი ცხოვრობს ამავე განცხადებაში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., ... მ/რ, ... კორპ., ბ. 33, ხოლო 2008 წლის აპრილიდან იგი საადვოკატო საქმიანობას ეწევა ქ. თბილისში, ... ქ. 19-ში მდებარე 16 ოფისში. ხარვეზის შესახებ განჩინება არ ყოფილა გაგზავნილი ხსენებულ მისამართებზე და იგი არც განმცხადებელს ჩაჰბარებია. ხარვეზის შესახებ განჩინების თაობაზე ტ. ჩ-შვილმა შეიტყო მისი მარწმუნებლისაგან და შესაბამისად, იგი გამოასწორა დადგენილ ვადაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის 18ს-1157-1119(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის 18ს-1157-1119(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის განცხადების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა განმცხადებლის მიერ თავისი განცხადების დასასაბუთებლად იმაზე მითითება, რომ ტ. ჩ-შვილი ცხოვრობს ამავე განცხადებაში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., ... მ/რ, ... კორპ., ბ. 33, ხოლო 2008 წლის აპრილიდან იგი საადვოკატო საქმიანობას ეწევა ქ. თბილისში, ... ქ. 19-ში მდებარე 16 ოფისში, ხარვეზის შესახებ განჩინება კი არ ყოფილა გაგზავნილი ხსენებულ მისამართებზე და იგი არც განმცხადებელს ჩაჰბარებია, ხოლო ხარვეზის შესახებ განჩინების თაობაზე ტ. ჩ-შვილმა შეიტყო მისი მარწმუნებლისაგან და შესაბამისად, იგი გამოასწორა დადგენილ ვადაში.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი გ. კ-შვილს (ასევე ე. ბ-იას) გაეგზავნა სწორედ საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ... ქ. 119, ოფისი 133.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინება გ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილს საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ... ქ. 119, ოფისი 133, ჩაჰბარდა 2008 წლის 10 ნოემბერს. ხსენებულ შეტყობინებაზე მითითებულია აღნიშნული თარიღი – 2008 წლის 10 ნოემბერი და მასზე არის ხელმოწერაც, ანუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ამ ადრესატს – გ. კ-შვილს ჩაჰბარდა სწორედ 2008 წლის 10 ნოემბერს. განმცხადებელს კი რაიმე ახალი მტკიცებულების წარმოდგენით არ დაუმტკიცებია აღნიშნულის საწინააღმდეგო და შესაბამისად – წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა გ. კ-შვილს ამოეწურა 2008 წლის 17 ნოემბერს, თუმცა კასატორს მისთვის მიცემულ ვადაში არ შეუვსია ხარვეზი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოში ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება ტ. ჩ-ვილმა წარმოადგინა 2008 წლის 18 ნოემბერს, რომელსაც დაურთო სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი და ამდენად, კასატორმა დაარღვია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით განსაზღვრული ხარვეზის შევსების ვადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის 'ზს-1157-1119(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის 'ზს-1157-1119(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დასაშვებობის თაობაზე**

#### **განჩინება**

'ზს-103-98(კს-09)

18 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 1 დეკემბერს შპს «...» დირექტორმა ვ. ა-შვილმა საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევის გამო, განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

განმცხადებლის განმარტებით, 2008 წლის 3 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მის კერძო საჩივარზე მიიღო განჩინება, რომლითაც ხსენებული კერძო საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად, განუხილველად დატოვა იგი და დაადგინა, რომ აღნიშნული განჩინება არ საჩივრდებოდა. ხსენებული კერძო საჩივრით გასაჩივრებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინება თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც მიღებული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ იყო შპს «...» კერძო საჩივარზე საგნობრივად განსჯადი სასამართლო. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლისა და «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტების თანახმად, ყოველი პირი უნდა განესაჯა მხოლოდ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარებოდა მისი საქმე. შპს «...» კერძო საჩივარზე ზემდგომი სასამართლო იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ხოლო განჩინება მიღე-

ბულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ. შესაბამისად, დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც იმავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 422-ე მუხლების საფუძველზე, მის კერძო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის მისივე კერძო საჩივრის განსახილველად დაქვემდებარება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით შპს «...» დირექტორის – ვ. ა-შვილის განცხადება დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებაში აღნიშნა, რომ 2000 წლის 18 ოქტომბერს შპს «...» მიმართა თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის 1994 წლის 9 ივნისის 1493 განკარგულების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა, ხსენებული განკარგულებიდან სიტყვის – «დროებითი» – ამოღება, მისთვის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მინიჭება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მერიის 1994 წლის 9 ივნისის 1493 განკარგულებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა «დროებითი» და ბათილად იქნა ცნობილი მისი მე-3 პუნქტი; შპს «...», როგორც მრავალდარგოვანი ფირმა «...» სამართალმემკვიდრეს, მიენიჭა საკუთრების უფლება მის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთზე და აღნიშნული უფლება რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში. 2007 წლის 22 ივნისს ქ. თბილისის მერიამ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვა და საქმის განახლება, იმ საფუძველით, რომ სასამართლოს საქმე უნდა განეხილა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რაც არ განხორციელებულა, რითაც უგულებელყოფილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაიწყო საქმის განხილვა. შპს «...» თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ნოემბრის საოქმო განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ, ქ. თბილისის მერიის 1994 წლის 9 ივნისის 1493 განკარგულებიდან სიტყვის – «დროებითი» – ამოღებისა და მისი მე-3 პუნქტის ბათილად ცნობის თაობაზე, გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, საიდანაც შპს «...» კერძო საჩივარი გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით შპს «...» კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და განუხილველი დარჩა, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გამოტანილ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას, ხოლო იმავე კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ საჩივრის განხილვის შედეგად თუ აღმოჩნდებოდა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო, სასამართლო განჩინებით აუქმებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც იწყებოდა სარჩელის განხილვა, ხსენებული კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი კერძო საჩივრის შეტანა შეიძლებოდა სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები. იმავე კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა შეემოწმებინა, დასაშვებია იყო თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობდა განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლოს თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დაეტოვებინა, რაც შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, კანონმდებელმა მითითებული მუხლის

ნორმის საფუძველზე მხოლოდ ისეთი საქმეების განახლება მიიჩნია დასაშვებად, რომელთა წარმოება დამთავრებული იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით შპს «...» სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით, საქმის წარმოება არ დასრულებულა. ხსენებული განჩინებით შპს «...» კერძო საჩივარი განუხილველი დარჩა და საქმე არსებითად განსახილველად კვლავ დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს «...» დირექტორის – ვ. ა-შვილის განცხადების დაშვების პირობა არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «...» წარმომადგენელმა მ. პ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) შესახებ განცხადების წანამდღვრები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ხსენებული განჩინება შპს «...» კერძო საჩივარზე საბოლოოა, არ საჩივრდება და კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნული გარემოება სადავოა, რის შესახებაც შპს «...» მიერ სააპელაციო სასამართლოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა გასაჩივრების შესაძლებლობის განმარტების შესახებ, მაგრამ 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის ფორმულირებამ განაპირობა, რომ მას მიემართა სასამართლოსათვის ხსენებული განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნითაც. ამდენად, მოცემული კერძო საჩივრის მოტივაცია განპირობებულია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული ლოგიკით და გასაჩივრების შესაძლებლობისა და წესის შესახებ 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის წარმოების განახლება ხდებოდა კანონიერ ძალაში შესულ მხოლოდ იმ განჩინებებსა და გადაწყვეტილებებსზე, რომლებითაც არსებითად დამთავრდა საქმის განხილვა. ასეთ მითითებას აღნიშნული ნაწილის ნორმა არ შეიცავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად ადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითა და განჩინებით დამთავრებული ნებისმიერი საქმის წარმოებაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით საქმის წარმოება მთავრდება არა მარტო მიკუთვნებითი ან აღიარებითი ხასიათის სასარჩელო დავებზე, არამედ დავებზე მორიგების, საქმის წარმოების შეწყვეტის, შეჩერების, განუხილველად დატოვების შესახებ, როგორც მხარეების, ისე მესამე პირების განცხადების საფუძველზე. ამდენად, ხსენებული ნორმის გამოყენების განმსაზღვრელი დებულება – «კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოება» – მოიცავს არა მხოლოდ სასარჩელო წარმოებით საქმის არსებითი განხილვის შედეგად რომელიმე მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას, არამედ სასამართლოს სხვა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსაც (განჩინებებს) დავის გადაწყვეტის შესახებ, მათ შორის, კერძო საჩივრის თაობაზე. აღნიშნული რომ ასე არ იყოს, ასეთი გადაწყვეტილება (განჩინება), ერთი მხრივ, ლეგიტიმურს გახდის სასამართლოს მიერ ამგვარი ან მსგავსი დავის გადაწყვეტისას დაშვებულ სრულიად აშკარა დარღვევას, ხოლო, მეორე მხრივ, მხარე, რომლის საწინააღმდეგოდაც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება, მოკლებული იქნება გასაჩივრების ერთჯერად საშუალებასაც კი, მით უმეტეს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საკითხი ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ კონსტიტუციურ დებულებას, საქმის განსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის შესახებ. გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის საპროცესო პროცედურა სწორედ ასეთი დარღვევისაგან აზღვევს მხარეს ნებისმიერი სასამართლო დავის შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. კერძო საჩივრით გასაჩივრებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინება თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც მიღებულია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ იყო შპს «...» კერძო საჩივარზე საგნობრივად განსჯადი სასამართლო, არამედ ხსენებულ კერძო საჩივარზე ზემდგომი სასამართლო იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ხოლო განჩინება მიღებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით შპს «...» წარმომადგენელ მ. პ-იას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა შპს «...» წარმომადგენელ მ. პ-იას კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორი წარმოდგენილ კერძო საჩივარშიც მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ შპს «...» დირექტორის – ვ. ა-შვილის განცხადებაში მოყვანილ მოტივებზე, მაშინ, როდესაც ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს არა ხსენებული განცხადების, არამედ მხოლოდ შპს «...» წარმომადგენელ მ. პ-იას კერძო საჩივრის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, კანონმდებელმა მითითებული მუხლის ნორმის საფუძველზე მხოლოდ ისეთი საქმეების განახლება მიიჩნია დასაშვებად, რომელთა წარმოება დამთავრებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმაში პირდაპირ, სიტყვასიტყვით და არაორაზროვნად არის მითითებული, რომ დასაშვებია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება, ანუ გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის წანამდღვრებზე მითითებით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის აუცილებელი პირობებია, რომ საქმის წარმოება უნდა იყოს დამთავრებული და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული. ამასთან, საჭიროა აღნიშნული პირობების ერთობლივად არსებობა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სახეზე არ არის განჩინების ბათილად ცნობის წანამდღვრებზე მითითებით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის ხსენებული პირობების ერთობლიობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც გასაჩივრებულ განჩინებაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით შპს «...» სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით, საქმის წარმოება არ დასრულებულა, ხსენებული განჩინებით შპს «...» კერძო საჩივარი განუხილველი დარჩა და საქმე არსებითად განსახილველად კვლავ დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ შპს «...» დირექტორის – ვ. ა-შვილის განცხადების დაშვების პირობა არ არსებობდა და ხსენებული განცხადება სწორად დატოვა განუხილველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «...» წარმომადგენელ მ. პ-იას კერძო საჩივარი არის უსაფუძვლო, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «...» წარმომადგენელ მ. კ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უარი საქმის წარმოების განახლებაზე**

**განჩინება**

18-3042-8(ა-09)

20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.10.08წ. განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. გ-შვილმა 19.05.08წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.03.08წ. გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.06.08წ. განჩინებით კასატორ გ. გ-შვილს დაევალა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეცაა საქმეში და სახელმწიფო ბაჟის 6000 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.10.08წ. განჩინებით გ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.06.08წ. განჩინებით გ. გ-შვილს დაევალა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეცაა საქმეში და სახელმწიფო ბაჟის 6000 ლარის გადახდის ქვითარი. აღნიშნული განჩინების კასატორისათვის ჩაბარების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული საქართველოს ფოსტის ექსპლუატაციის დირექტორის მ. ფ-ძის წერილიდან ირკვეოდა, რომ კასატორის რძალს – მ. ხ-შვილ-გ-შვილს ხსენებული განჩინება 04.07.08წ. ჩაჰბარდა, რასაც ასევე ადასტურებდა «ფ8» წიგნის ქსეროასლი, სადაც 234 ნომრად დაფიქსირებულია მ. ხ-შვილი-გ-შვილის ხელმოწერა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გ. გ-შვილის მიერ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 440-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველად.

გ. გ-შვილმა 10.11.08წ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.10.08წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.06.08წ. ხარვეზის შესახებ განჩინება მ. ხ-შვილ-გ-შვილს არ ჩაბარებია და შესაბამისად ფ8 წიგნის ქსეროასლის 234-ე ნომრად დაფიქსირებული ხელმოწერა მ. ხ-შვილ-გ-შვილს არ ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისთვის ცნობილი არ იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.06.08წ. ხარვეზის შესახებ განჩინების თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ გ. გ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლად დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ხარვეზის შესახებ 20.06.08წ. განჩინების ასლი 23.06.08წ. გ. გ-შვილს გაეგზავნა '334 საფოსტო გზავნილით. აღნიშნული გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოში 23.10.08წ. შემოსული საქართველოს ფოსტის ექსპლუატაციის დირექტორის მ. ფ-ძის წერილი, რომლის თანახმად საფოსტო გზავნილი 04.07.08წ. ჩაბარდა ადრესატის რძალს მ. ხ-შვილ-გ-შვილს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს «ფ8» წიგნის ქსეროასლი, რომელზეც 234 ნომრად გ. გ-შვილის გასწვრივ დაფიქსირებულია მ. ხ-შვილი-გ-შვილის ხელმოწერა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, ოჯახის სრულწლოვანი წევრისათვის ჩაბარება ჩაითვლება ადრესატისათვის ჩაბარებად. შესაბამისად, მ. ხ-შვილი-გ-შვილისთვის ჩაბარებით ითვლება რომ გზავნილი ჩაბარდა ადრესატ გ. გ-შვილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფოსტის ექსპლუატაციის დირექტორის 23.10.08წ. 115-30-394/08 წერილისა და ფორმა 18 წიგნის საფუძველზე საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. გ-შვილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ხარვეზის შესახებ 20.06.08წ. განჩინების ასლი 04.07.08წ. ჩაბარდა. ზემოაღნიშნული განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი გ. გ-შვილის მიერ არ იქნა გამოსწორებული ამავე განჩინებით დადგენილ 7 დღიან ვადაში, რის გამოც არსებობდა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს განმცხადებელ – გ. გ-შვილის მოსაზრებას «ფ8» წიგნის ქსეროასლზე მ. ხ-შვილი-გ-შვილის ხელმოწერის სიყალბის შესახებ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება ყალბია. ამასთან, ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, დოკუმენტის სიყალბე დადასტურებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.06.08წ. განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი გ. გ-შვილის მიერ არ იქნა გამოსწორებული აღნიშნული განჩინებით დადგენილ ვადაში, რის გამოც არსებობდა ხარვეზის გამოსწორებლობის მოტივით გ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ გ. გ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.10.08წ. განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.10.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უარი საქმის წარმოების განახლებაზე

### განჩინება

18-1427-13(ა-09)

20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.03.09წ. განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.03.09წ. განჩინებით შ. მ-ძის საკასაციო საჩივარზე წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია, საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შ. მ-ძის საკასაციო საჩივრის ასლი 07.02.09წ. ჩაჰბარდა, შეგებებული საკასაციო საჩივარი კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 19.02.09წ. წარმოადგინა, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლში მითითებული 10 – დღიანი ვადის დარღვევით, რადგან შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას 17.02.09წ. ოცდაოთხ საათზე ამოეწურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლში მითითებული საკასაციო საჩივრის შეტანის 10 – დღიანი ვადა, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 27.04.09წ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც ამავე სასამართლოს 02.03.09წ. განჩინების გაუქმება და შეგებებულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა მიუთითა, რომ შ. მ-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 05.01.09წ. განჩინებისა და საკასაციო საჩივრის ასლი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 09.02.09წ. ჩაჰბარდა, რაც დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გზავნილზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმის წარმოების დეპარტამენტის მიერ დასმული შტამპით, რომელზეც აღნიშნული გზავნილის ჩაბარების თარიღად 09.02.09წ. მითითებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.05.09წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი



შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შ. მ-ის საკასაციო საჩივარი და საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ **05.01.09წ.** განჩინება **07.02.09წ.** გადაეცა. საქმეში დაცულია **1792** შეტყობინება საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ (ფორმა **1119**), რომლითაც დასტურდება, რომ შ. მ-ის საკასაციო საჩივრის შემცველი საფოსტო გზავნილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **07.02.09წ.** ჩააბარდა. აღნიშნულს ასევე ადასტურებს საქართველოს ფოსტის ექსპლუატაციის დირექტორის **13.05.09წ.** წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ **1792** წერილი **07.02.09წ.** ჩააბარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს – გ. ხ-შვილს, რაც ასევე დგინდება **07.02.09წ.** საფოსტო გზავნილებათა ჩაბარების რეესტრის (ფორმა **18**) ასლზე დასმული გ. ხ-შვილის ხელმოწერით. შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **61-ე** მუხლის მე-**3** ნაწილის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **17.02.09წ.** ოცდაოთხ საათზე ამოწურა, ხოლო შეგებებული საკასაციო საჩივარი კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა **19.02.09წ.**, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **405-ე** მუხლში მითითებული **10-დღიანი** ვადის დარღვევით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ წარმოდგენია შ. მ-ის საკასაციო საჩივრის **09.02.09წ.** ჩაბარების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გზავნილზე დასმული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისწარმოების დეპარტამენტის შტამში ეჭვს იწვევს, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მხარის მიერ შექმნილ მტკიცებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება შპს «საქართველოს ფოსტის» გზავნილების ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინებას (ფორმა **1119**) და **07.02.09წ.** საფოსტო გზავნილებათა ჩაბარების რეესტრს (ფორმა **18**). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივარი ვერ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **405-ე** მუხლის შესაბამისად შეგებებული საკასაციო საჩივრისათვის დადგენილ ვადაში შეტანილად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობდა შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის მოტივით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რის გამოც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო შეგებულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **02.03.08წ.** განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **430-ე** მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **02.03.09წ.** განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

#### **განჩინება**

18-678-5(ა-09)

4 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 ნოემბერს ზ. ა-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის არქიტექტურის, ტრანსპორტის, ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და ქონების მართვის სამსახურის მიმართ და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის არქიტექტურის, ტრანსპორტის, ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2007 წლის 23 აგვისტოს 1238 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირებად მ. კ-მე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახური ჩაებნენ.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ა-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ზ. ა-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ქ. ფოთში, ... ქ. 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ამხანაგობა ჩაება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ზ. ა-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება ზ. ა-იამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ ზ. ა-იას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «თ» ქვეპუნქტების მოთხოვნებს, კერძოდ, არ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი, კასაციის მიზეზების შემცველი და ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შედგენილი არ იყო ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, არ მოპასუხობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს. ამასთან, საკასაციო საჩივარს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოებები მიიჩნია ხარვეზებად და კასატორ ზ. ა-იას დაევალი მისთვის ხარვეზის შესახებ 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. აგრეთვე, წარმოედგინა სრულყოფილი (კასაციის მიზეზების შემცველი), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეც იყო საქმეში. კასატორს განემართა, რომ მითითებულ ვადაში ხარვეზების შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

2008 წლის 22 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გადმოგზავნილ იქნა ზ. ა-იას მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი, კასაციის მიზეზების შემცველი და ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი, თუმცა საკასაციო საჩივარს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის განჩინებით ზ. ა-იას საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი ზ. ა-იას წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2008 წლის 15 დეკემბერს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლებოდა, თუ იგი ჩაჰბარდებოდა ერთ-ერთ მათგანს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ითვლებოდა მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. შესაბამისად, კასატორს ხარვეზის შევსებისათვის მიცემული ვადა ამოწურა 2008 წლის 25 დეკემბერს. ზ. ა-იამ მისთვის მიცემულ ვადაში არ შეავსო 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ერთ-ერთი ხარვეზი, კერძოდ, არ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი და არც ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელების თხოვნით მიუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის, რის გამოც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება ზ. ა-იას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

2009 წლის 17 თებერვალს ზ. ა-იამ ფოსტის მეშვეობით განცხადებით (კერძო საჩივარი) მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პა-

ლატის 2009 წლის 23 იანვრის 'ზს-1519-1476(კ-08) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინება გაასაჩივრა საკასაციო წესით, მაგრამ, ვინაიდან მას არ ჰქონდა მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის დასაბუთებული განჩინების ასლი, სააპელაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა არასრული სახით. აღნიშნულზე საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ხარვეზის შესახებ განჩინება და განესაზღვრა მისი შევსებისთვის 10-დღიანი ვადა, რომელიც 2008 წლის 25 დეკემბერს იწურებოდა.

განცხადების ავტორის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი მის მიერ შევსებულ იქნა, კერძოდ, 2008 წლის 22 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სათანადოდ შევსებული საკასაციო საჩივარი, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟს, ზ. ა-იას მიერ ის 2009 წლის 22 დეკემბერს იქნა შეტანილი შესაბამის ანგარიშზე, რასაც ადასტურებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რომელიც თან დაურთო კერძო საჩივარს (განცხადებას).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით ზ. ა-იას კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის 'ზს-1519-1476(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებად. ხსენებული განცხადება დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის 'ზს-1519-1476(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ზ. ა-იას განცხადებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდგრები. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზ. ა-ია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის 'ზს-1519-1476(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ მის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზები გამოსწორებულ იქნა, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი 2009 წლის 22 დეკემბერს შეიტანა შესაბამის ანგარიშზე, რასაც ადასტურებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რომელიც დაურთო კერძო საჩივარს (განცხადებას).

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ზ. ა-იას დაევალი ხარვეზის შესახებ ხსენებული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი, აგრეთვე, სრულყოფილი (კასაციის მიზეზების შემცველი), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეც იყო საქმეში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზ. ა-იას მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და ხელმოწერილი, კასაციის მიზეზების შემცველი, საკასაციო საჩივარი, თუმცა მის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზ. ა-იას მიერ არ იქნა გამოსწორებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ერთ-ერთი ხარვეზი, ხოლო ის ფაქტი, რომ ზ. ა-იამ დადგენილ ვადაში გადაიხადა საკასაციო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟი, ვერ ჩაითვლებოდა ხარვეზის გამოსწორებად, ვინაიდან მას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ად-

მინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დაევალა ხსენებული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოდგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი, რაც ზ. ა-იას მიერ არ იქნა შესრულებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ზ. ა-იას დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის საკასაციო სასამართლოში წარმოდგენა, რისთვისაც განესაზღვრა 10-დღიანი ვადა ხსენებული განჩინების ჩაბარებიდან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი გზავნილი ზ. ა-იას წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2008 წლის 15 დეკემბერს, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზ. ა-იასათვის ჩაბარებულად ითვლება. შესაბამისად, კასატორს ხარვეზის შევსებისათვის მიცემული ვადა ამოეწურა 2008 წლის 25 დეკემბერს. ზ. ა-იამ მისთვის მიცემულ ვადაში არ შეავსო 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ერთ-ერთი ხარვეზი, კერძოდ, არ წარმოადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. ამასთან, მას არც ხარვეზის შევსებისთვის დადგენილი ვადის გაგრძელების თხოვნით მიუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის, ხოლო ის ფაქტი, რომ მის მიერ ვადაში იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ვერ ჩაითვლება ხარვეზის გამოსწორებად, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით ზ. ა-იას განემარტა, რომ მას საკასაციო სასამართლოში უნდა წარმოდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რაც მის მიერ არ იქნა შესრულებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის 'ბს-1519-1476(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ზ. ა-იას განცხადება არის უსაფუძვლო, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი ან/და საქმეში არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, იგი გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან კასატორმა – ზ. ა-იამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ხოლო მისი საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა, ზ. ა-იას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 185-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის 'ზს-1519-1476(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ზ. ა-იას განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. ზ. ა-იას დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განჩინების ბათილად ცნობის საფუძვლები

### განჩინება

13-372-2(ბ-09)

24 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.09წ. განჩინების ბათილად ცნობა;

#### პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.09წ. განჩინებით ლ. ბ-ელის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.03.08წ. განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

08.04.04წ. ლ. ბ-ელმა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისი საკასაციო საჩივრის განხილვა მნიშვნელოვანი იყო სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული იყო მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, საჭირო იყო საქმეზე კანონის განმარტება და საქმის განხილვას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო პრაქტიკისათვის. გასულ წლებში მოსამართლეების: ნ. ს-ძის, ნ. ქ-ძის, მ. ვ-ძის მონაწილეობით განხილული იყო როგორც ეს ადმინისტრაციული საქმე, ისე მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დავები. არც ერთი განჩინება მის სასარგებლოდ გამოტანილი არ ყოფილა, რაც განაპირობებს მის ეჭვს მოსამართლეთა მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში. განმცხადებლის აზრით, მოსამართლე ნ. ს-ძე ვალდებული იყო, სსკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე განეცხადებინა თვითაცილება. განმცხადებელმა გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.04.09წ. განჩინებით ლ. ბ-ელის განცხადება წარმოებაში იქნა მიღებული.

20.05.09წ. ლ. ბ-ელმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.04.09წ. განჩინების ბათილად ცნობა და მოსამართლე ნ. ს-ძის საქმის განხილვისაგან აცილება მოითხოვა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მოსამართლე ნ. ს-ძეს უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო მისი განცხადების განხილვაში და ვალდებული იყო განეცხადებინა თვითაცილება. ლ. ბ-ელმა განცხადების არსებით განხილვაში მონაწილეობის მიღება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს 01.06.09წ. განჩინებით ლ. ბ-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.04.09წ. განჩინების ბათილად ცნობის შესახებ დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის წარმოების განახლების შესახებ ლ. ბ-ელის განცხადების და საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ შუამდგომლობის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს თავისი ინიციატივით საქმის სირთულიდან გამომდინარე. მხარის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისათვის საკმარის საფუძველს არ ქმნის. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ბ-ელის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა განხილულიყო ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 430.1 მუხლთან შედარებით 408.3 მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის, რის გამოც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ განხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით დადგენილია საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა, რაც გულისხმობს ერთსა და იმავე საქმის განხილვაში სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში ერთი და იმავე მოსამართლის მონაწილეობის დაუშვებლობას. განსახილველ შემთხვევაში მოსამართლე ნ. ს-ძეს მონაწილეობა არ მიუღია სხვადასხვა ინსტანციაში ლ. ბ-ელის საქმის განხილვაში. კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ მოსამართლეების: ნ. ქ-ძის, მ. ვ-ძისა და ნ. ს-ძის მონაწილეობით საკასაციო სასამართლოს მიერ განხილული და გადაწყვეტილი არც ერთი განჩინება ლ. ბ-ელის სასარგებლო არ იყო, აღნიშნული არ ქმნის სსკ-ის 422.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განჩინების ბათილად ცნობის საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-7 მუხლით დადგენილია მოსამართლის მონაწილეობის დაუშვებლობა იმ საქმის განხილვაში, რომელ საქმესთან დაკავშირებითაც ის ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ლ. ბ-ელის საკასაციო საჩივრის განმხილველ რომელიმე მოსამართლეს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ამავე დავის საგანზე წარმოებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში. განჩინების ბათილად ცნობას აგრეთვე ვერ გამოიწვევს, ლ. ბ-ელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მისი საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებდა სსკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი. საქმის წარმოების განახლების მითითებულ საფუძველს საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასაშვებობის საფუძველს ამოწმებს და საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. მხარის მოსაზრებას საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა არ გააჩნია.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სსკ-ის 422.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 430-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ბ-ელის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. ლ. ბ-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.09წ. განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქმის წარმოების განახლების დასაშვებობის წინაპირობები

### განჩინება

1ბ-2138-23(ა-08)

24 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

**განცხადების ავტორის მოთხოვნა:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.07.2005 წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ქ-შვილმა 13.01.2003 წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს, დ. ლ-მის მიმართ, მესამე პირი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი <sup>1</sup>... და ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმე განსჯადობის წესების დაცვით განხილულ იქნა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის 09.07.2003 წლის გადაწყვეტილებით ვ. ქ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ქ-შვილმა. მოცემული დავა არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას 28.01.2005 წლის მთავარ სასამართლო სხდომაზე ვ. ქ-შვილმა დააზუსტა სარჩელის საგანი და მოითხოვა არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

საბოლოოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2005 წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს, ასევე დ. ლ-მის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 03.02.2005 წ. გადაწყვეტილების შეცვლით, საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ვ. ქ-შვილის სარჩელი ქ. თბილისში, ... ქ. 140-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის დ. ლ-მის სახელზე პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას 03.08.2005 წ. ვ. ქ-შვილმა მომართა განცხადებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 06.07.2005 წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.03.2006 წ. განჩინებით ვ. ქ-შვილის განცხადებას უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე.

10.10.2008 წ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ვ. ქ-შვილმა მომართა განცხადებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 06.07.2005 წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ. განმცხადებლის გამართებით, მის მიერ მოპოვებული იქნა ქ. თბილისის პროკურატურის 15.12.2006 წ. კანონიერ ძალაში შესული დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ასევე, საინვენტარიზაციო გეგმა, თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიერ 26.08.2008 წ. გაცემული ცნობა <sup>1</sup>100, ... ქ. 140-ში მდებარე კორუსის ბინათმშენებლობის ნაერთი ხარჯთაღრიცხვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივიდან ინფორმაცია უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 01.07.1971 წ. <sup>1</sup>346 დადგენილება და საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება. განმცხადებელი თვლის, რომ აღნიშნული მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საფუძვლად დაედებოდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.07.2005 წ. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების, 427-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.11.2008 წ. განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ვ. ქ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ვ. ქ-შვილის განცხადების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევა, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ვ. ქ-შვილი საქმის წარმოების განახლებას ითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების თანახმად. განცხადებელი თვლის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს საფუძვლად უდევს თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსა და თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაული – სამსახურებრივი გულგრილობა, რაც მათ ჩაიდინეს სადავო ფართის პრივატიზებისას, აღნიშნული სადღეისოდ დადასტურებულია ქ. თბილისის პროკურატურის 15.12.2006 წლის კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა კასატორის განმარტება სადავო ფართის მუნიციპალური კუთვნილებისა და განხორციელებული პრივატიზების კანონიერების თაობაზე. ვ. ქ-შვილი თვლის, რომ დღეისავე წარმოდგენილი დოკუმენტების ერთობლიობით დადგენილია სახელმწიფო საკუთრების უფლება არა მთლიან, 155 კვ.მ-ზე, არამედ, მხოლოდ 31 კვ.მ-ზე, ხოლო 15.09.1998 წ. პრივატიზაციის ხელშეკრულებით დასტურდება სადავო ფართზე მისი საკუთრების უფლება, რაც 15.09.1998 წ. მის მიერ წარდგენილ იქნა ქ. თბილისის ტექსტური ბიუროში.

ვ. ქ-შვილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითებს ქ. თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის პროკურორის 15.12.2006 წ. კანონიერ ძალაში შესულ დადგენილებას, ხოლო განმცხადებელი დანარჩენ დოკუმენტებს მოიაზრებს ამავე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებებად, რომლებიც განმცხადებლის განმარტებით მას 06.10.2008 წ. გადაეცა სხვა დოკუმენტებთან ერთად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები. ზემოაღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების განახლებას კანონმდებელი უკავშირებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კონკრეტულად დადგენილი წინაპირობების არსებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილის «ა»-«გ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქმის წარმოების განახლების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც ემყარება გადაწყვეტილება და აღნიშნული დადასტურებული უნდა იქნეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია ქ. თბილისის პროკურატურის 15.12.2006 წლის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. წარმოდგენილი დადგენილებით დგინდება, რომ ს/ს საქმე აღძრული იყო ქ. თბილისის მერიის ტექსტური სამსახურის მუშაკების სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ხსენებული ნორმა დოკუმენტის სიყალბის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნევა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენს, რაც ადასტურებს დამნაშავე პირის ბრალეულობას დოკუმენტის გაყალბებისას და არა სისხლის სამართლის საქმეზე საგამომიებო ორგანოს საპროცესო დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება და არა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არ წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით შესაძლებელია, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს,



გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის «ე»-«ვ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია საინვენტარიზაციო გეგმა, თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიერ 26.08.2008 წ. გაცემული 1100 ცნობა, ... ქ. 140-ში მდებარე კორპუსის ბინათმშენებლობის ნაერთი ხარჯთაღრიცხვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივიდან ინფორმაცია უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან საინვენტარიზაციო გეგმა და ... ქ. 140-ში მდებარე კორპუსის ბინათმშენებლობის ნაერთი ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი იყო ძირითადი საქმის განხილვისას და ერთვის საქმეს; თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიერ 26.08.2008 წ. გაცემული 1100 ცნობის შინაარსის შემცველი დოკუმენტი, გაცემული თბილზნიეპის მთავარი ინჟინერის მიერ 05.08.2003 წ., თვით ვ. ქ-შვილის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას დამატებით დაზუსტებულ საკასაციო საჩივართან ერთად. რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივიდან გაცემულ ინფორმაციას უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ვ. ქ-შვილის მიერ პრივატიზაციის ხელშეკრულების ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში წარდგენის ფაქტი დადგენილია საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამომიებო კომისიის დასკვნით, რომელიც თავად განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა სასამართლოში არაერთხერ და ასევე ერთვის საქმეს. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივში ნივთთზე უფლების რეგისტრაციის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება ვ. ქ-შვილს შეეძლო საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ არ არის წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც მანამდე არ ერთვოდა საქმეს. წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2005 წ. 'ზს-399-321(კ-04) გადაწყვეტილება ემყარება იმ გარემოებას, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების მომენტში სამშენებლო კოოპერატივი არ იყო უფლებამოსილი, დაედო არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულება მისი ფუნქციონირების შეწყვეტის გამო. წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს აღნიშნულის გამაბათილებელ გარემოებებს. ამასთან, ვ. ქ-შვილი ვერ უთითებს, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს რატომ არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეთითებინა ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ქ-შვილის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ვ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რაიმე დოკუმენტი, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საქმის წარმოების განახლების საფუძველს. ამასთანავე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის წესს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვ. ქ-შვილის განცხადება – ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.07.2005 წ. 'ზს-399-321(კ-04) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 423-ე მუხლის პირველი ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. არ დაკმაყოფილდეს ვ. ქ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.07.2005 წ. 'ზს-399-321(კ-04) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლობის გამო;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინამძღვრები

### განჩინება

1ბ-1349-3(ბ-09)

9 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 4 ოქტომბერს რ. ჭ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, მესამე პირად კი ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაზე მიუთითა.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით ... სამუსიკო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის 7 სექტემბრის 1456 ბრძანების ბათილად ცნობა, წინანდელ თანამდებობაზე აღდგენა და დირექტორის არჩევნებამდე იძულებითი განადგურის ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო ჩაება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით რ. ჭ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით დამატებით ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს გაცემა დაევალა, ხოლო სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლოდ გამო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ჭ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით რ. ჭ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ჭ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ჭ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით რ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება.

2009 წლის 16 აპრილს რ. ჭ-მემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 1ბს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარში მას ძირითად მისამართად მითითებული ჰქონდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ..., ხოლო ალტერნატიულ მისამართად – ქ. ბათუმი, ... ქ. 118, ნაცვლად ქ. ბათუმი, ... ქ. 13, ბინა 18-ისა, სადაც ცხოვრობდა მისი შვილი – ზ. ჭ-მე.

განცხადების ავტორის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება და მის საკასაციო საჩივართან დაკავშირებული სხვა კორესპონდენცია გაგზავნილი იქნა მის მიერ შეცდომით მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე.

განცხადების ავტორის მითითებით, მისთვის ფაქტობრივად უცნობი იყო, რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული საკასაციო სასამართლოს მიერ, რის გამოც დაირღვა მისი კანონით დადგენილი უფლება – იცოდეს რა გადაწყვეტილებების მიღება ხდება მის საქმეზე სასამართლოში, კერძოდ, მისთვის უცნობი იყო, როდის იქნა მიღებული წარმოებაში მისი საკასაციო საჩივარი, დაინიშნა თუ არა საკასაციო საჩივრის მოსმენა მხარეთა დასწრებით და მიწვეული იყო თუ არა იგი ამ სხდომაზე ახსნა-განმარტებების მისაცემად.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ, მართალია, კანონის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარე დაიბაროს ნებისმიერ მის მიერ მითითებულ მისამართზე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ კასატორისთვის ალტერნატიულ მისამართზე გაგზავნილი საკასაციო სა-

ჩივრის წარმოებაში მიღების განჩინება ვერ ჩაჰბარდა, სასამართლოს განჩინება უნდა გაეგზავნა მხარის მიერ მითითებულ ძირითად მისამართზე ან ტელეფონის მეშვეობით შეეტყობინებინა აღნიშნულის შესახებ.

განცხადების ავტორის განმარტებით, მას არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო საკასაციო საჩივრის განხილვაში, რითაც დაირღვა მისი უფლებები. ამდენად, განცხადების ავტორმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, 70-ე და 78-ე მუხლებით და იმავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 'ბს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ივნისის განჩინებით რ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 'ბს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობის შესახებ მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 'ბს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რ. ჭ-ძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინების ბათილად ცნობის საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება არ ჩაჰბარებია კანონით დადგენილი წესით, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ ხსენებული მასალები გაგზავნილი იქნა მის მიერ შეცდომით მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე. ამასთან, მართალია, კანონის თანახმად სასამართლოს შეეძლო მხარისათვის გაეგზავნა სასამართლო წარმოების მასალები მის მიერ მითითებულ ნებისმიერ მისამართზე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ კასატორისთვის ალტერნატიულ მისამართზე გაგზავნილი საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინება არ ჩაჰბარდა, იგი ვალდებული იყო, ხსენებული განჩინება გაეგზავნა მხარის მიერ მითითებულ ძირითად მისამართზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები. იმავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, კასატორს არ ჩაჰბარებია საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინების ასლი, მაგრამ აღნიშნული ვერ ჩაითვლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 'ბს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობის საფუძველად, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. მოცემულ შემთხვევაში კი მხარეს არ ჩაჰბარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინების ასლი, რომლითაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული რ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს კოლეგიური შემადგენლობა. ამასთან, კოლეგია უფლებამოსილია, აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმის განხილვა განხორციელდა მხარეთა დასწრების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავს გასაჩივრებული განჩინების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 'ზს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის 'ზს-1380-1338(კ-08) განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე**

#### **განჩინება**

'ზს-835-799(კს-09)

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 21 ივლისს ნ. ვ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებეთა გამო მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველით:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ვ-ძის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი რ. და ი. წ-ძეების სახელზე შედგენილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტები '122/6-17 და '122/6-75; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ნ. ვ-ძის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, ხოლო რ. და ი. წ-ძეებს უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. და რ. წ-ძეებმა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 აპრილის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო-საინჟინრო ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, ნ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა ი. და რ. წ-ძეების შეგებებული სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ვ-ძეზე 0.25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ... თემის სარეფორმო კომისიის 2000 წლის 12 მაისის შერჩევის აქტი; მიწის რეფორმის კომისიის მიერ წარდგენილი მიწის შერჩევის აქტის დამტკიცებისა და 0.25 ჰა საკარმიდამო ნაკვეთის ნ. ვ-ძეზე გამოყოფის შესახებ ... თემის საკრებულოს მიწის რეფორმის კომისიის 2000 წლის 18 მაისის '12 ოქმის დადგენილება; ნ. ვ-ძეზე საკარმიდამოდ 0.25 ჰა გამოყოფის შესახებ სოფ. ... საერთო კრების 2000 წლის 12 ივნისის '11 ოქმი, ნ. ვ-ძეზე საკარმიდამოდ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით საკრებულოს მიწის რეფორმის კომისიის 2000 წლის 18 მაისის '12 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ ... თემის საკრებულოს გამგეობის სხდომის 2000 წლის 29 ივნისის '13 დადგენილება.

განმცხადებლის მითითებით, ექსპერტის დასკვნა და სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაეყრდნო ძირითადად ი. და რ. წ-ძეებზე მიწის ნაკვეთის შერჩევისა და გამოყოფის

დოკუმენტებს. სასამართლომ აღნიშნული დოკუმენტები მიიჩნია სარწმუნოდ იმ მოტივით, რომ ისინი უფრო ადრე იყო გაცემული ვიდრე ნ. ვ-ძის სახელზე გაცემული აქტები.

**2008 წლის 20** იანვარს ბათუმის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე.

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის **2008 წლის 22** ივნისის დადგენილებით დადგინდა, რომ ი. წ-ძე დაეუფლა მიწის ნაკვეთს, რომელიც კანონით დადგენილი წესით **2000 წლის 18** ივლისის მოზომვის აქტით გამოეყო ნ. ვ-ძეს. დავის ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში განხილვისას ი. წ-ძემ წარადგინა მოზომვის აქტი და გეგმა-ნახაზი, რომელიც უშუალოდ მის მიერ იყო შედგენილი. სასამართლოსათვის ი. წ-ძის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ნახაზის ნაწილში განსხვავებულია არქივიდან ამოღებული ნახაზისაგან, რომელიც კანონიერადაა შედგენილი და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

ამდენად, ექსპერტის დასკვნა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება ყალბ დოკუმენტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ მის ხელთ არსებული დოკუმენტები სასამართლოსათვის რომ ყოფილიყო წარდგენილი, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული დოკუმენტების სასამართლოსათვის წარუდგენლობა საქმის განხილვის ეტაპზე ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ დოკუმენტები მოიპოვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2009 წლის 19** თებერვლის განჩინებით ნ. ვ-ძის განცხადება დასაშვებად იქნა ცნობილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2009 წლის 18** მარტის განჩინებით ნ. ვ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოდ გამო არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2007 წლის 8** თებერვლის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას ითხოვდა საქართველოს სსკ-ის **423.1** მუხლის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **423.1** მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველად უთითებდა **1996 წლის 25** ივლისის მიზომვის აქტის სიყალბეზე, რაც დადგენილია ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის **2008 წლის 22** ივნისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის «ვ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ საფუძველად მიუთითა ს.ფ. **45**-ზე განთავსებული ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის დირექტორის **2005 წლის 7** ივნისის **11/01-05** წერილი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2007 წლის 8** თებერვლის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია: «**1996 წლის 25** ივლისის მიზომვის აქტით რ. წ-ძეს მიუზომა საკარმიდამოდ **0.25** ჰა სოფ. ... შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, მდინარე ... გვერდით სახნავის ხარჯზე. საქმეში არსებული **1996 წლის 25** ივლისის მიზომვის აქტების ქსეროასლების თანახმად, მათ პირველ გვერდზე იდენტური შინაარსის მონაცემებია იმის შესახებ, რომ «რწმუნებულთა კრების **1996 წლის 9** ივლისის ოქმი **13** გადაწყვეტილებით ადგილზე მისვლით კომისიამ სოფ. ... მცხოვრებ რ. ი. ძე წ-ძეს მიუზომა საკარმიდამოდ **0.25** ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი სოფ. ..., შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, მდინარე ... გვერდით – სახნავის ხარჯზე. აღნიშნული მიწის ფართობი მოითხოვს გაკულტივირებას, რის შემდეგაც შესაძლებელია მისი ათვისება და გამოყენება საკარმიდამოდ». აღნიშნული აქტების მეორე გვერდზე ნახაზები ერთმანეთის მსგავსი არ არის. საქმეში წარმოდგენილი, **1996 წლის 25** ივლისის მიზომვის აქტის ქსეროასლი, როგორც გაირკვა შედგენილი ი. წ-ძის მიერ, მაგრამ აქტის პირველი გვერდი შინაარსობრივად იდენტურია საქმეში განთავსებულ აქტების შინაარსთან, ხოლო მეორე გვერდზე შესრულებული ნახაზი განსხვავებულია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2007 წლის 8** თებერვლის გადაწყვეტილებაში მითითებულია მოზომვის აქტების პირველ გვერდზე არსებულ ჩანაწერზე: «რ. წ-ძეს მიუზომა საკარმიდამოდ **0.25** ჰა სოფ. ..., შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, მდინარე ... გვერდით სახნავის ხარჯზე».

ხსენებული აქტების პირველი გვერდები იდენტურია და სწორედ ეს მონაცემები იქნა გამოყენებული სააპელაციო სასამართლოს მიერ **2007 წლის 8** თებერვლის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება საქართველოს სსკ-ის **423**-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, დოკუმენტის სიყალბის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის დირექტორის **2005 წლის 7** ივნისის წერილი წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის **423**-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რადგან აღნიშნული წერილი ფიგურირებს ძირითადი საქმის **1101** ფურცელზე, რომელიც განხილულ იქნა და არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას ან

მტკიცებულებას, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმება არსებული ფაქტების შეფასებას, აღნიშნული არ წარმოდგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ვ-მემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის შედეგადაც მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არანაირი შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ 1996 წლის 25 ივლისის მიზომის აქტი შედგენილია თვით ი. წ-მის მიერ საკუთარი ხელით და სწორედ ეს დოკუმენტი იქნა გამოყენებული სასამართლოში, საქმის წარმოების დროს, რასაც მოჰყვა სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. მიზომის აქტის საკუთარი ხელით შედგენა წინასწარი გამოძიების მსვლელობისას აღიარა თვით ი. წ-მემ.

ასევე დადგენილია ის ფაქტი, რომ ი. წ-მის მიერ შედგენილი მიზომის აქტი საერთოდ არ მოიპოვება ხელვაჩაურის რაიონული არქივის დაცულ მასალებში. არქივში არის მხოლოდ შესაბამისი კომისიის მიერ კანონით დადგენილი წესით შედგენილი მიწის ნაკვეთის მიზომის აქტი და თანდართული ნახაზი, რაც დადასტურდა ასევე საქმეში წარმოდგენილი მასალებითა და ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2008 წლის 22 ივნისის დადგენილებით.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელვაჩაურის რაიონული არქივის დირექტორის 2005 წლის 7 ივნისის წერილი არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რადგან ნ. ვ-მე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას ითხოვდა არა არქივის დირექტორის წერილის საფუძველზე, არამედ – არქივიდან ამოღებული მიწის ნაკვეთის მიზომის აქტისა და მასზე თანდართული ნახაზის საფუძველზე, რომელიც აშკარად განსხვავდება ი. წ-მის მიერ საკუთარი ხელით შედგენილი და თავის დროზე სასამართლოში საქმის წარმოების დროს გამოყენებული მიზომის აქტისაგან. არქივიდან დოკუმენტის ამოღება მოხდა ძირითადი საქმის წარმოების დამთავრებისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ანუ ამის შესახებ ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რაც წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას და მას სასამართლოს მიერ სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცემოდა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არანაირი ყურადღება არ გაამახვილა ბათუმის რაიონული პროკურატურის დადგენილებაში მოყვანილ ფაქტებზე, ი. წ-მემ დაკითხვისას აღიარა მიწის ნაკვეთის მიზომის აქტის მის მიერ შედგენის ფაქტი, ანუ დაადასტურა მისი სიყალბე, რაც გამოყენებულ იქნა თავდაპირველი საქმის წარმოებისას სასამართლოში და თავისთავად ცხადია, სასამართლომაც ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ვ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. სსსკ-ის 423.2 მუხლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება ამავე კოდექსის 423.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, დოკუმენტის სიყალბესთან დაკავშირებით, დასაშვებია, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. სსსკ-ის 423.3 მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ 1996 წლის 25 ივლისს შედგენილი მიზომების აქტი, რასაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, არის ყალბი, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2008 წლის 22 ივნისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის სსსკ-ის 423.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგან სიყალბის ფაქტი არ არის დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება. ამასთან, წარმოდგენილი დადგენილების თანახმად, მოწმის სახით დაკითხულმა ი. წ-მემ მიუთითა, რომ მისთვის 1996 წელს მიწის მიზომვისას შედგა მიზომვის აქტი, რაზეც ხელი მოაწერა კომისიის ყველა წევრმა. აქტი შედგა ერთ ეგზემპლარად კომისიის ერთ-ერთი წევრის – ლ. ვ-ძის მიერ. იმის გამო, რომ მიზომვის აქტის ასლი არ ჩაჰბარდა თავად ი. წ-მეს, მან საკუთარი ხელით გადაწერა აქტი, შეადგინა მისი ასლი, რაზეც ყველა წევრმა მოაწერა ხელი. მითითებული დადგენილებით დადასტურებულია მხოლოდ ის ფაქტი, რომ მიზომვის აქტი შედგა ი. წ-ძის მიერ, თუმცა არ გამოკვლეულა და დადგენილა ის გარემოება, რომ ი. წ-ძის მიერ შედგენილ მიზომვის აქტს მოაწერეს თუ არა ხელი კომისიის წევრებმა და აღნიშნულით დაადასტურეს თუ არა მისი შესაბამისობა კომისიის მიერ შედგენილ და არქივში დაცულ დოკუმენტთან, თუ უარყოფილ იქნა ი. წ-ძის ჩვენება აღნიშნულთან დაკავშირებით.

გარდა აღნიშნულისა, დადგენილების თანახმად, ი. წ-ძის მიერ შედგენილი მიზომვის აქტი და ნახაზი წარედგინა სასამართლოს ორჯერ – პირველად – ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ი. წ-ძის შესაგებელთან ერთად, ხოლო მეორედ აღნიშნული დოკუმენტი დაერთო სააპელაციო საჩივარს. კანონიერ ძალაში შესული, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, ნ. ვ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ი. და რ. წ-ძეებს უფრო ადრე გამოეყოთ მიწის ნაკვეთი, ვიდრე – ნ. ვ-ძეს, სასამართლო დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას და არა ი. წ-ძის მიერ შესაგებელზე ან სააპელაციო საჩივარზე დართულ მიზომვის აქტსა და ნახაზს და მიიჩნია, რომ ნ. ვ-ძეზე მოხდა იმ მიწის ნაკვეთის მიზომვა, რომელიც 1996 წელს ჰქონდათ გამოყოფილი წ-ძეებს. საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 13 ივლისის სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრის «...» ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნის თანახმად, რასაც დაეყრდნო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ექსპერტის მიერ კვლევისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მასალები: რ. წ-ძის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, 1996 წლის 25 ივლისის მიზომვის აქტი, რომელიც განთავსებული იყო საქმეში, ი. წ-ძის მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, 2000 წლის 12 მაისის შერჩევის აქტი, 2000 წლის 18 ივლისის მიზომვის აქტი. ამდენად, ექსპერტის დასკვნა დაეყრდნო არა ი. წ-ძის მიერ შესაგებელზე ან სააპელაციო საჩივარზე დართულ დოკუმენტს, არამედ საქმეში არსებულ მიზომვის აქტს, ანუ ნ. ვ-ძის სარჩელის შემდეგ, ი. წ-ძის მიერ შესაგებელის წარდგენამდე, საქმეში მოთავსებულ დოკუმენტს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სსსკ-ის 423.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი საქმის წარმოების განახლებისათვის, რადგან საქმეში წარმოდგენილი მხოლოდ ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2008 წლის 22 ივნისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ არ დადასტურებს იმ ფაქტს, რომ დოკუმენტები, რასაც დაეყრდნო სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანისას, არის ყალბი.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო, ასევე, ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სსსკ-ის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ არქივიდან ამოღებული მიწის ნაკვეთის მიზომვის აქტისა და მასზე დართული ნახაზისაგან განსხვავდება ი. წ-ძის მიერ შედგენილი აქტი და ნახაზი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს მითითებული საფუძველით საქმის წარმოების განახლების საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის დირექტორის 2005 წლის 7 ივნისის 111/01-05 მიმართვა გამოთხოვილი დოკუმენტების გადაცემის შესახებ წარმოდგენილი იყო საქმეში საქმის არსებითად განხილვის დროსაც. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მისთვის განსხვავებული დოკუმენტების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არქივიდან დოკუმენტების ამოღების შედეგად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უსაფუძვლოა კერძო საჩივრის არგუმენტი აღნიშნულთან დაკავშირებით, რადგან მითითებული გარემოება არ წარმოადგენს სსსკ-ის 423.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების წინაპირობას, რადგან ნ. ვ-ძეს საქმის განხილვის დროსაც შეემოლო მიეთითებინა აღნიშნულ გარემოებებზე, მით უფრო, რომ დოკუმენტების გამოთხოვის დამადასტურებელი ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის დირექტორის 2005 წლის 7 ივნისის 111/01-05 მიმართვა წარდგენილი იყო საქმის განხილვის დროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, კონკრეტულ შემთხვევაში არ იკვეთება საქმის წარმოების განახლების პროცესუალური წინაპირობა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ბს-863-825(კს-09)

10 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 12 მარტს ა. ლ-იამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

განმცხადებლის მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 14580-3 ბრძანების საფუძველზე «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტისა და მე-18 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის გამო გათავისუფლდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

აღნიშნულ ბრძანებას საფუძველად დაედო ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გ. კ-შვილის 2007 წლის 11 მაისის 101/02-07/2047 წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსს ზ. თ-ძემ მიმართა მოხსენებითი ბარათით, რომელშიც მითითებული იყო, რომ 2007 წლის 7 მაისს სავაჭრო ცენტრ «...» ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ობიექტ 1215-ში გამოვლენილ იქნა სალარო აპარატის გამოუყენებლობის ფაქტი, რის თაობაზეც მან შეადგინა შესაბამისი ოქმი. თ. თ-ძის განმარტებით, აღნიშნული ოქმის შედგენის მომენტში ა. ლ-იამ დაურეკა მას და ახდენდა ზემოქმედებას, რათა არ შემდგარიყო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი საფუძველად დაედო ა. ლ-იას გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

2009 წლის 2 მარტს ა. ლ-იასათვის ცნობილი გახდა, რომ უფროსი ინსპექტორი თ. თ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იყო სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებით. აღნიშნული ფაქტის შესახებ ა. ლ-იამ შეიტყო თავისი ყოფილი თანამშრომლის მეშვეობით. ა. ლ-იამ მიმართა თბილისის სა-



აპელაციო სასამართლოს, სადაც იხილებოდა თ. თ-ძესა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის დავა და მოსამართლის თანაშემწის მეშვეობით მას გადაეცა თ. თ-ძის გათავისუფლების ბრძანების ასლი.

განმცხადელის განმარტებით, აღნიშნული ფაქტით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა დაადასტურა, რომ ა. ლ-აიას გათავისუფლების ბრძანება გამოცემული იყო არასწორი ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო აღნიშნული ფაქტი რომ ყოფილიყო ცნობილი საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ იქნებოდა მიღებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით ა. ლ-აიას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრებულ იქნა ა. ლ-აიას მიერ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. ლ-აიას კერძო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ ახლად აღმოჩენილი გარემოება არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ მის თაობაზე მხარისათვის არ იყო ცნობილი.

კერძო საჩივრის ავტორი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად და ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომლის მიხედვითაც, მისთვის ცნობილი გახდა, რომ უფროსი ინსპექტორი თ. თ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იყო სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მის მიერ ინსპექციის უფროსისათვის მოხსენებითი ბარათით არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. ლ-აიასთან მოხილური ტელეფონით საუბრის შინაარსის თაობაზე მოხსენებით ბარათში მოყვანილისაგან განსხვავებული ჩვენება მოწმე თ. თ-ძემ ჯერ კიდევ ა. ლ-აიას სარჩელის განხილვისას, 2007 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო კოლეგიის სხდომაზე მისცა. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება ცნობილი იყო სააპელაციო პალატისათვის, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი მუხლის «ვ» პუნქტის თანახმად, რომელზედაც აპელირებს განმცხადებელი, ახლად აღმოჩენილად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომელიც ცნობილი არ იყო საქმის განმხილველი სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს და ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის შემდეგ მოსაზრებას: რომ ზემოხსენებული ფაქტი საქმის განმხილველი სასამართლოსათვის რომ ყოფილიყო ცნობილი, სასამართლოს მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

უდავოდ დადგენილია და თავად ა. ლ-აიაც არ უარყოფს, რომ სათანადო ინფორმაციის მისაღებად მეწარმის შემოწმების პროცესში მან დაურეკა თ. თ-ძეს. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» პუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. ა. ლ-აიასათვის, რომელიც საგადასახადო სისტემის მუშაკი იყო, ამგვარი შეზღუდვის არსებობა ცნობილი იყო. ამისდა მიუხედავად, იგი შეე-

ცადა მიეღო ინფორმაცია შემოწმების შედეგების შესახებ. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ სწორედ აღნიშნული გარემოება მიიჩნია ა. ლ-აიას მიერ სამსახურებრივი დისციპლინის უხეშ დარღვევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტი არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების საფუძველს არ ქმნის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ-აიას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების იურიდიული საფუძველი, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ლ-აიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

#### **განჩინება**

18ს-3-305-11 (ა-09)

30 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის 18ს-1063-1016(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. კ-ძემ 2006 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და მოითხოვა ფინანსურ პოლიციაში წელთა ნამსახურობის მიხედვით პენსიის დანიშვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს დაევალა 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ი. კ-ძისათვის ფინანსურ პოლიციაში წელთა ნამსახურობის შესაბამისად კუთვნილი პენსიის დანიშვნა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით სოციალური სუბსიდიების საააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – ი. კ-ძის სარჩელი მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიმართ წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ი. კ-ძემ 2009 წლის მარტში განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციიდან გათავისუფლდა და პენსიაზე გასვლის სურვილი გამოთქვა 2005 წლის ნოემბერში. განმცხადებლის განმარტებით მას ფინანსთა სამინისტროდან ეცნობა, რომ, რადგან «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ ამ კანონის საფუძველზე დამტკიცებული «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულება არ განსაზღვრდა ზღვრული ასაკს და წელთა ნამსახურობის ოდენობას, ელოდებოდნენ პროექტის მომზადებას, რომლითაც მოწესრიგდებოდა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობები, მაგრამ 2006 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი და განსაზღვრა საპენსიო უზრუნველყოფის ახალი პირობები, რომელიც განმცხადებელს არ გააჩნია. ი. კ-ძემ მიუთითა, რომ მან მიმართა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, ესარგებლა კანონის ანალოგიით, ანუ 2006 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად პენსიის დანიშვნის თაობაზე, რაზეც ეთქვა უარი და რაც შემდგომში გახდა 'ზს-1063-1016(კ-07) საქმის განმცხადებელსა და საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს შორის დავის საგანი.

განმცხადებლის განმარტებით, მან 2009 წლის 9 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური სუბსიდიების (მომსახურების) სააგენტოს, რათა დაედგინა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ხომ არ ენიშნებოდათ წელთა ნამსახურობით პენსია 2004-2005 წლებში «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე, როგორც საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების მარეგულირებელი ძირითადი კანონის საფუძველზე, რადგან «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი და ამ კანონის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულება არ განსაზღვრავდა ზღვრულ ასაკსა და წელთა ოდენობას; ი. კ-ძემ განცხადებაში აღნიშნა, რომ მან პასუხად მიიღო სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2009 წლის 13 თებერვლის '02/07-3358 ზოგადი შინაარსის წერილი. განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული წერილით სააგენტო თავს არიდებს სწორ პასუხს, რადგან მის მიერ მოპოვებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტები-დასკვნები 2004-2005 წლებში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისათვის «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის თაობაზე; ი. კ-ძე განცხადებაში მიუთითებს, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტო 2004-2005 წლებში სარგებლობდა კანონის ანალოგიით და ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს წელთა ნამსახურობით პენსიას უნიშნავდა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების მარეგულირებელი ძირითადი კანონის, ანუ 2006 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი ზემოხსენებული კანონის საფუძველზე.

განმცხადებელი თვლის, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ სრულიად უსაფუძვლოდ უთხრა უარი კანონის ანალოგიის გამოყენების თაობაზე.

ი. კ-ძემ საქმის წარმოების განახლება მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» პუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ი. კ-ძის განცხადების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მისი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ი. კ-მ საქმის წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე. ამ ნორმის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი ამ მუხლის პირველი ნაწილის «ე», «ვ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ ახლად აღმოჩენილი გარემოება არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ მის თაობაზე მხარისათვის არ იყო და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო ცნობილი. ამასთან, ახლად აღმოჩენილი გარემოება უნდა იყოს არსებითი მნიშვნელობის მქონე, რომლის საფუძველზეც, სავარაუდოდ, მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანა იქნებოდა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო საქმის წარმოების განახლების საფუძველად ვერ მიიჩნევს ი. კ-მის მიერ მოპოვებულ და წარმოდგენილ დოკუმენტებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ი. კ-მ არ არის 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტი, ვინაიდან აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ საჯარო დაწესებულებათა (ორგანოთა) ჩამონათვალი, რომელთა სისტემაში დასაქმებულ მოსამსახურეებს ენიჭებოდათ ამავე კანონით განსაზღვრული პენსიის მიღების უფლება, ამომწურავია. ფინანსური პოლიცია კი, «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 139 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც არ მოიაზრება მითითებული კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებათა (ორგანოთა) რიცხვში.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის ი. კ-მის მიმართ ანალოგიით გამოიყენება ეწინააღმდეგება «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სამართლის ნორმა-პრინციპს, რომლის თანახმადაც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოსა და ამავე კანონით გათვალისწინებულ პირებს შორის წარმოშობილი სპეციალური საპენსიო ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, რომელთა ანალოგიით გამოიყენება სხვა, თუნდაც ამ კანონით განსაზღვრულ, პირთა მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი პირების საპენსიო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძველოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი. კ-მის განცხადებაში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის 18ს-1063-1016(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 423-ე მუხლით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. არ დაკმაყოფილდეს ი. კ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის 'ზს-1063-1016(კ-07) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოების გამო;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

### **განჩინება**

'ზს-ბ-2277-23(ა-09)

30 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. ქადაგიძე,**  
**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

11.12.08წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და მოპასუხე ვ. ჩ-შვილისათვის ჯარიმის – 16 344 ლარისა და 2006 წლის 21 თებერვლიდან ამ თანხის გადახდამდე პირგასამტეხლოს სახით ყოველდღიურად თანხის 0.2%-ის დაკისრება მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 29.01.09წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვ. ჩ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.07.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი იყო გასაჩივრების 1-თვიანი ვადის დარღვევით.

12.08.09წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.07.09წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განმცხადებლის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინება სამინისტროს 08.06.09წ. გადაეცა და საკასაციო საჩივარი სასამართლოში 07.07.09წ. წარადგინა. განმცხადებლის აზრით, სამინისტროს წარმომადგენლისათვის, დ. დ-მისათვის განჩინების ჩაბარება არ უნდა ჩაითვალოს სამინისტროსათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარებად, ვინაიდან დ. დ-მ არ იყო აღჭურვილი იმ უფლებამოსილებებით, რომლებიც სსკ-ის 98-ის მიხედვით, მინდობილობაში სპეციალურ მითითებას საჭიროებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.07.09წ. განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397.1 მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინება 04.06.09წ. გადაეცა დ. დ-ძეს, რომელიც განსახილველ საქმეზე წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ გაცემული 25.05.09წ. 18/3087 მინდობილობის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ვ. ჩ-შვილის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება მიენიჭა დ. დ-ძეს. რწმუნებულს მიენიჭა ყველა უფლებამოსილება, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აღნიშვნა რწმუნებულებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, სპეციალურ აღნიშვნას საჭიროებდა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს დ. დ-ძეს სწორედ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაეცა. სასამართლოს განჩინების ჩაბარების უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, მინდობილობაში სპეციალურ აღნიშვნას არ საჭიროებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა სწორედ 2009 წლის 4 ივნისიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი სასამართლოს წარედგინა გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მითითებული გარემოება არ ქმნის სსკ-ის 423 მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმების საფუძველს. კასატორის მიერ აღნიშნული გარემოება და მტკიცებულება ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, არ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.07.09წ განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

### განჩინება

1ბ-1840-16(ა-09)

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 ივლისს ნ. ს-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და სახელფასო დავალიანების – 370,29 ლარისა და სამივლინებო ხარჯის – 578 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 370,29 ლარისა და სამივლინებო დავალიანების – 578 ლარის ანაზღაურება დაევა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2009 წლის 10 მარტს, საკასაციო საჩივარი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა 2009 წლის 13 აპრილს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ერთთვიანი ვადის დარღვევით, რის გამოც საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

2009 წლის 10 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განცხადებას დაურთო მიღებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ შპს «...»<sup>143</sup> რეესტრის ამონაწერი.

განმცხადებლის განმარტებით, მას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2009 წლის 10 მარტს, საკასაციო საჩივარი კი ხსენებულ განჩინებაზე ფოსტას ჩააბარა 2009 წლის 10 აპრილს, რაც დასტურდებოდა მიღებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ შპს «...»<sup>143</sup> რეესტრის ამონაწერით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიუთითა, რომ მას არ დაურღვევია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, რის გამოც მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის 1ბს-629-597(კ-09) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პა-

ლატის 2009 წლის 7 მაისის 'ზს-629-597(კ-09) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებას, შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების სამართლებრივი საფუძველი, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის განჩინების ასლი ჩაჰპარდა 2009 წლის 10 მარტს, საკასაციო საჩივრის შემცველი გზავნილი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შპს «...» ჩააბარა 2009 წლის 10 აპრილს, რაც დასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებაზე დართული მიღებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ შპს «...»<sup>143</sup> რეესტრის ამონაწერით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ დაურღვევია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა, რადგან მან დროულად ჩააბარა საკასაციო საჩივარი შპს «...».

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას (განჩინება) სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება საფუძვლიანია, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს საქმის წარმოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის 'ზს-629-597(კ-09) განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს წარმოება;
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნეს მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობა შემოწმდეს მხარეთა დასწრების გარეშე;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## საქმის წარმოების განახლება დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე

### განჩინება

1ბ-2055-4(ბ-09)

7 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: განჩინების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.2009 წ. განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მიღწეული მორიგება და საქმის წარმოება შეწყდა სსსკ-ის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე. მორიგების პირობების თანახმად, შპს «...» უფლებამოსილი იყო, ქ. ბათუმში, ... ქ. 120<sup>ა</sup>-ში მდებარე 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითმმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საწინააღმდეგოდ, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაერეგისტრირებია ქალაქ ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 685 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ქ. ბათუმში, ... ქ. 111-ის მიმდებარედ არსებული 798 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 315 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზების მიხედვით, ხოლო დარჩენილი 483 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი რჩებოდა თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებაში; ქ. ბათუმის მერიამ იკისრა ვალდებულება, ეს უკანასკნელი ნაკვეთი დაეყო ორ საკადასტრო ერთეულად. ასევე, ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილი იყო, ქ. ბათუმში, ... ქ. 120<sup>ა</sup>-ში მდებარე, შპს «...» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაერეგისტრირებინა თვითმმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე ზ/აღნიშნული ორი მიწის ნაკვეთის საწინააღმდეგოდ. მხარეებმა ასევე იკისრეს ვალდებულება, ერთმანეთისთვის გადაეცათ საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით შესაბამისი მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზები და ჩD დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსიები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას 17.06.2009 წ. წარედგინა ქ. ბათუმის მერიის განცხადება საკასაციო სასამართლოს 22.04.2009 წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. განმცხადებელი მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 08.06.2009 წ. 1882009154186-03 გადაწყვეტილებით მისთვის ცნობილი გახდა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რაც ცნობილი რომ ყოფილიყო მორიგების დამტკიცებისას საქმეზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ქ. ბათუმში ... ქ. 120<sup>ა</sup>-ში მდებარე 497,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული ქონება საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. ქ. ბათუმის მერია მიუთითებს, რომ სადავო მიწის ნაკვეთის სხვა პირის საკუთრებაში აღრიცხვის ფაქტი მისთვის ცნობილი არ იყო და ვერც იქნებოდა, ვინაიდან პირველადი რეგისტრაცია არ განხორციელებულა ქ. ბათუმის მერიის აქტის საფუძველზე და მას სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მორიგების დამტკიცებისას აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მხარეებისა და სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მორიგება სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არ დამტკიცდებოდა. ქ. ბათუმის მერია თვლის, რომ ეს გარემოება წარმოადგენს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველს. განმცხადებელი მოითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მორიგების დამტკიცების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.2009 წ. 1ბ-487-466(კ-08) განჩინების გაუქმებას, საქმეზე საქმის წარმოების განახლებას, ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვას, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.02.2008 წ. 13/ბ-13008 გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს «...» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, ხოლო ქ. ბათუმის მერიის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მომართა აგრეთვე შპს «...»-ის დირექტორმა ზ. კ-შვილმა და 07.07.2009 წ. განცხადებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 09.06.2009 წ. გადაწყვეტილებით მისთვის ცნო-

ბილი გახდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთის ქ. ბათუმში, ... ქ. '20'-ში მდებარე 497 კვ.მ მიწის ნაკვეთი თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკუთრებად ვერ დარეგისტრირდებოდა, ვინაიდან იგი 07.02.2008 წლიდან რეგისტრირებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. განმცხადებელი მოითხოვს გასაჩივრებული გაჩინების გაუქმებას და საქმის განხილვის განახლებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.2008 წ. განჩინების ძალაში დატოვებას.

13.07.2009 წ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.04.2009 წ. 'ზს-487-466 (კ-08) განჩინების ბათილად ცნობა და საქმის ხელახლა განხილვა მოითხოვა. განმცხადებელი განმარტავს, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. '20'-ში მდებარე 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 08.10.2007 წ. '01-22/3351 წერილის საფუძველზე ზ/აღნიშნული ფართი დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად. საქართველოს მთავრობის 05.12.2007 წ. '770 განკარგულებით ქონება გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, რაზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმდა ხელშეკრულება ქონების გადაცემის შესახებ და აღნიშნული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის და განკარგვის შესახებ» აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილი ორგანოა აჭარის რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მიწის ნაკვეთის თაობაზე მორიგების აქტის დამტკიცება და მისი განკარგვა შეეხო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ინტერესებს, რის გამოც იგი აუცილებლად მოწვეული უნდა ყოფილიყო მხარედ საქმის განხილვაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.09.09 წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების თაობაზე ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...»-ის განცხადებებზე შეჩერდა საქმის წარმოება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.04.2009 წ. 'ზს-487-466 (კ-08) განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადებაზე თანდართული მასალებით დგინდება, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 08.10.2007 წ. '01-22/3351 წერილის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 15.10.2007 წ. გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში, ... ქ. '20'-ში მდებარე 489,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული 268 კვ.მ სპორტული მოედნით დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად. საქართველოს მთავრობის 05.12.2007 წ. '770 განკარგულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სხვა ქონებასთან ერთად საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. '20'-ში მდებარე 489,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 09.01.2008 წ. '11-1/8 ბრძანებით საქართველოს მთავრობის ზ/აღნიშნული განკარგულების, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის მოხსენებით ბათუმის საფუძველზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. '20'-ში მდებარე 489,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის 06.02.2008 წ. გაფორმდა ხელშეკრულება ქონების გადაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება 07.02.2008 წ. რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს არ წარუდგენიათ და არც ამ გარემოებაზე მიუთითებიათ.

«აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ» აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას. ამდენად, სადავო ქონებაზე სასამართლოში საქმისწარმოებისას იგი იყო დაინტერესებულ მხარე, ვინაიდან დავის საგანი (ქ. ბათუმში, ... ქ. '20'-ში მდებარე 497,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი) წარმოადგენდა მის მართვა-გამგებლობაში შემავალ ქონებას. სსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა

პალატის ხარვეზის შესახებ 22.04.09წ. განჩინება უნდა გაუქმდეს და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდეს საქმის წარმოება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.2009 წ. 'ბს-487-466 (კ-08) განჩინების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის ქ. ბათუმის მერიისა და შპს «...»-ს შორის მორიგების დამტკიცების შესახებ 22.04.09წ. განჩინება;
3. ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდეს საქმის წარმოება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

**განჩინება**

18-1482-14(ა-09)

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 31 დეკემბერს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. ლ-ევმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ და ავსტრიაში გამეგება მოითხოვა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით მოპასუხეთა სიიდან ამორიცხულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და იგი საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ევმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 27 ივნისის განჩინებით ვ. ლ-ევის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და ვ. ლ-ევის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ევმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 თებერვლის განჩინებით ვ. ლ-ევის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ევმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მი-

ნისტრის 2004 წლის 10 ნოემბრის 11367 ბრძანებაში ცვლილების შეტანის – გამეგების ქვეყნად ავსტრიის მითითების საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის დავალება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ევის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააკველიციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ლ-ევის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა ერთი თვის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ქვეყნის განსაზღვრა, სადაც ვ. ლ-ევის გამეგება იქნებოდა შესაძლებელი.

2009 წლის 6 მაისსა და 26 ივნისს ვ. ლ-ევმა განცხადებებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის 'ზს-137-129(კ-06) გადაწყვეტილების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა პ. პ-შვილმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის სახით, ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება – სასამართლოში წარადგინა მის მიერ ხელმოწერილი ყალბი დოკუმენტები, რაც გახდა უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით ვ. ლ-ევის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის 'ზს-137-129(კ-06) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის 'ზს-137-129(კ-06) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ვ. ლ-ევის განცხადებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები. იმავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილის «ა»-«გ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით, სისხლის სამართლის საქმეზე თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით საქმის წარმოების განახლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ვ. ლ-ევი საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის 'ზს-137-129(კ-06) გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა პ. პ-შვილმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის სახით, ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, რადგან სასამართლოში წარადგინა მის მიერ ხელმოწერილი ყალბი დოკუმენტები, რაც უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა. ამდენად, განცხადების ავტორი გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დოკუმენტების სიყალბის ფაქტი არ არის დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს აღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების განახლების აუცილებელი პირობა – სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს განცხადების ავტორიც, როდესაც უთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლის პ. პ-შვილის დანაშაულის ფაქტების შესახებ წერილობით არაერთხელ მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ

ინსპექციასა და გენერალურ პროკურატურას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის პ. პ-შვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, რაზეც პასუხი არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის 'ზს-137-129(კ-06) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ვ. ლ-ევის განცხადება არის უსაფუძვლო, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის 'ზს-137-129(კ-06) გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ვ. ლ-ევის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი საქმის წარმოების განახლებაზე**

#### **განჩინება**

'ზს-962-921 (კს-09)

26 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 25 თებერვალს მ. ა-ძისა და ე. კ-ძის წარმომადგენლებმა – რ. ბ-ძემ და თ. ჭ-ძემ განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, იმ საფუძველით, რომ მათ გაშვებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. აღნიშნული განჩინება აპელანტების მიერ გასაჩივრებულ იქნა კერძო საჩივრით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რითაც კანონიერ ძალაში შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. განცხადების ავტორები აღნიშნავენ, რომ უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა და შესაბამისად, სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარი გაგზავნილ იქნა ხელვაჩაურის საფოსტო განყოფილების მეშვეობით, კანონით დადგენილი გასაჩივრების 14 დღიანი ვადის დაცვით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14 დღიანი ვადა იწურებოდა 2008 წლის 11 აგვისტოს. სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის საფოსტო განყოფილებაში წარდგენილ იქნა 2008 წლის 11 აგვისტოს, გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადაში, რაც ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ჩაბარდა 2008 წლის 12 აგვისტოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მათ მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გაშვებული არ ყოფილა, რაც სასამართლოსთვის ცნობილი რომ ყოფილიყო საქმის განხილვის დროს, საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა განმცხადებლების მოთხოვნა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადების ავტორების მიერ მითითებული გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებები ნამდვილად გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას მათი დროულად სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში, მაგრამ მიუთითა საქმის წარმოების განახლებისათვის აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ამ გარემოებებზე და წარედგინა მტკიცებულება, ანუ თუ მხარემ თავის დროზე მისივე ბრალით არ მოიძია და არ წარადგინა სასამართლოში აღნიშნული მტკიცებულება, კანონის თანახმად, საქმის წარმოების განახლება არ დაიშვებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლების მიერ არ იყო დაცული კანონის ზემოთხსენებული მოთხოვნა, მათ არ მოიძიეს და სასამართლოში დროულად არ წარადგინეს შესაბამისი მტკიცებულება, მათივე ბრალით არ იქნა მითითებული ხელსაყრელ გარემოებაზე საქმის განხილვის შესაბამის ეტაპზე, რაც წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

2009 წლის 23 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს მ. ა-ძისა და ე. კ-ძის წარმომადგენლებმა – რ. ბ-ძემ და თ. ჰ-ძემ, რომელთაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს. კერძო საჩივრის ავტორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის საფუძველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებას და განმარტავენ, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა რაიმე ფორმით, მოქმედებით ან უმოქმედობით (ბრალით) მიეღოთ ის შედეგი, რაც მათ სურდათ, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, ვინაიდან მათთვის ცნობილი ვერ იქნებოდა საფოსტო კონვერტის დაკარგვის ფაქტი, საიდანაც უნდა დადგენილიყო სააპელაციო საჩივრის გაგზავნის თარიღი. კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ 2008 წლის 11 აგვისტოს, მოკლე სამუშაო დღის გამო სააპელაციო საჩივარი მათ მიერ ვერ იქნა ჩაბარებული სასამართლოს კანცელარიაში და გაიგზავნა ხელვაჩაურის ფოსტის მეშვეობით. ფოსტის კონვერტის საქმის მასალებში დაუცველობა გამოწვეული არ არის მათი ბრალით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ ე. კ-ძისა და მ. ა-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სააპელაციო სასამართლომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 მუხლზე და აღნიშნა, რომ ამ საფუძველით საქმის განახლება დასაშვებია იქნებოდა, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ექნებოდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამასთან, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მითითებული გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებები ნამდვილად გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, რომ არა სააპელაციო საჩივრის ავტორების ბრალით სასამართლოში მათი დროულად წარუდგენლობა.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დგინდება, რომ შეკვეთილი წერილი 1101 ხელვაჩაურის საფოსტო განყოფილებას ჩაბარდა 2008 წლის 11 აგვისტოს, 17:00 საათზე, რაც ადრესატს – ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ჩაბარდა 2008 წლის 12 აგვისტოს. ე. კ-ძისა და მ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ შეკვეთილი წერილი 1101 (სააპელაციო საჩივარი) ფოსტის თანამშრომლისაგან ხელზე ჩაბარდა ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს მოსამართლეს, რაც იმავე დღესვე დარეგისტრირდა შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალში. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი მოსარჩელების – ე. კ-ძისა და მ. ა-ძის მიერ წარდგენილ იქნა ფოსტის მეშვეობით 2008 წლის 11 აგვისტოს, ხოლო საქმის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნისას საქმეს არ ერთვოდა ფოსტის კონვერტი ფოსტის მიერ გზავნილი მიღების თარიღის აღნიშვნით, რითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დადასტურებოდა საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში შესრულების ფაქტი, აღნიშნული კი გახდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო, რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულების 35-ე მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ ფოსტით შემოსული კორესპონდენციის კონვერტები უნდა იქნეს შენახული და დაერთოს მიღებულ დოკუმენტებს იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ კონვერტით შეიძლება გამოგზავნის მისამართისა და მიღების დროის დადგენა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუ-

ხილველად დატოვების საფუძველი გახდა მისი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით სასამართლოში წარდგენა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვისას არ უმსჯელია და არ დაუდგენია, თუ რამდენად იყო მხარის ბრალით გამოწვეული საქმის მასალებში ისეთი მტკიცებულებების (საფოსტო კონვერტის) დაუცველობა, საიდანაც შესაძლებელი იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დადგენა და შეეძლო თუ არა მხარეს, ევარაუდა ამ დოკუმენტის საქმეში არ არსებობა, რათა დამატებით წარედგინა სათანადო მტკიცებულებები სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის დასადასტურებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ა-ძის და ე. კ-ძის წარმომადგენლების – რ. ბ-ძის და თ. ჭ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინება და საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საკითხის გადაწყვეტის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ა-ძის და ე. კ-ძის წარმომადგენლების – რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინება და საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საკითხის გადაწყვეტისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება**

#### **განჩინება**

18ს-1152-1099 (კს-09)

14 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 2 ივნისს ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილისა და სხვათა წარმომადგენელმა – დ. ქ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და განმარტა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო პალატამ 2003 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით გააუქმა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოიჯარე ნ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 4 ივნისის განჩინებით დარჩა უცვლელი და კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო პალატის 2003 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

განმცხადებლები განმარტავენ, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის 1290-10 დადგენილების საფუძველზე ყვარლის რაიონის გამგეობამ სოფ. ... თემს გამოუყო 104 ჰა სოფლისპირა საძოვარი და მისი იჯარით გაფორმება დაავალა თემის გამგეობას. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი რაიონული კომისიის 1998 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით და ყვარლის რაიონის გამგეობის 1998 წლის 2 დეკემბრის 1209 დადგენილებით ნ. ს-შვილს სოფ. ... ტერიტორიაზე მდებარე 37,0 ჰექტარი სოფლის პირა საძოვარი 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა. ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველომ მიწის იჯარის ხელშეკრულება მოამზადა. მიწის იჯარის ხელშეკრულება 1999 წლის იანვარში ხელის მოსაწერად რაიონის გამგეობას გადაეგზავნა, მაგ-

რამ ხელშეკრულებაზე ხელი არ იქნა მოწერილი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის 1999 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ეთხოვა რაიონის გამგეობას 1998 წლის 2 დეკემბრის 1209 დადგენილებით დამტკიცებული მიწის იჯარის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიის 1998 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების გადასინჯვა.

მიწის გასხვისება გაჩივრებულ იქნა სოფლის მოსახლეობის მიერ. ყვარლის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 6 მარტისა და ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ს-შვილის მიერ ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 ნოემბრის 1201 ყალბმა ცნობამ და ყვარლის რაიონული გამგეობის წარმომადგენლის ცრუ ახსნა-განმარტებამ შეცდომაში შეიყვანა სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო. ცნობაში მითითებული იყო, რომ 37,0 ჰა მიწის ნაკვეთის ნ. ს-შვილზე გადაცემით არ ილახებოდა, სოფლის მოსახლეობის ინტერესები და ამასთან ეს ფართობი არ შედიოდა სოფ. ... გამგეობაზე გადაცემული 104,0 ჰა სოფლის პირას არსებული საძოვრის ფართობში. აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო პალატამ 2003 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილს მიეკუთვნა სოფლის საძოვარი, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 4 ივნისის განჩინებით შევიდა კანონიერ ძალაში.

2009 წლის გაზაფხულზე ნ. ს-შვილმა სოფლის მოსახლეობას მოსთხოვა საძოვრით სარგებლობისათვის ფულადი თანხის გადახდა, რის შემდეგ მათთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ს-შვილისათვის გადაცემული 37,0 ჰა მიწის ნაკვეთი შედის სოფ. ... გამგეობაზე გადაცემული 104,0 ჰა სოფლის პირას არსებული საძოვრის ფართობში. იმის გასარკვევად, იყო თუ არა მიწის მართვის სამმართველოს მიერ 2003 წლის 4 ნოემბერს გაცემული 1201 ცნობა ყალბი, სოფლის მოსახლეობამ მიმართა პროკურატურას. გურჯაანის რაიონული პროკურატურის პასუხით მათთვის ცნობილი გახდა, რომ თუ სურდათ ახალი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების მიზნით დოკუმენტის სიყალბის დადგენა, უნდა მიემართათ სასამართლოსათვის. თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ საბუთი იყო ყალბი საქმეს გადასცემდა შესაბამის საგამომიებო ორგანოს. აღნიშნული პასუხის მიღების შემდეგ მათ მიერ სარჩელი შეტანილ იქნა ყვარლის რაიონულ სასამართლოში, სადაც მოპასუხედ ჩართულმა ე. კ-შვილმა წარდგინა შესაგებელში ფაქტობრივად აღიარა მის მიერ 2003 წლის 4 ნოემბერს გამოცემული 1201 ცნობის სიყალბე. დღეისათვის სარჩელი ყვარლის რაიონული სასამართლოს მიერ დატოვებულია განუხილველად, რაზეც მოსარჩელე მხარეს წარდგენილი აქვს კერძო საჩივარი.

განმცხადებლები თვლიან, რომ ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 ნოემბრის 1201 ცნობის სიყალბე დასტურდება განცხადებაზე თანდართული დოკუმენტებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 138/504 საქმის წარმოების განახლება, ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინებით ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის – დ. ქ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლების მიერ დაცული იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის კანონით დადგენილი 5 წლიანი ვადა. რაც შეეხება განცხადების საფუძვლიანობას, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლად განმცხადებლები მიიჩნევდნენ ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 ნოემბრის 1201 ცნობის სიყალბეს, რაც დადასტურებული არ იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რაც ასევე დაადასტურა დ. ქ-შვილმა სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ აღნიშნული ცნობის ავტორის მიერ შესაგებელში აღიარებული იყო ამ დოკუმენტის უსწორობის ფაქტი და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმა იმპერატიულად ადგენს იმ პროცესულ ფორმას (კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს), რომლის მეშვეობითაც დადგენილი დოკუმენტის სიყალბე შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ახლად აღმოჩენილ გარემოებად და საქმის წარმოების განახლების საფუძვლად. ასევე დოკუმენტის სიყალბის დასადასტურებლად ამგვარი იურიდიული მნიშვნელობის მქონედ არ შეიძლება მიჩნეულიყო მოწმის, თუნდაც დოკუმენტის ავტორის განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილის და სხვათა წარმომადგენლმა დ. ქ-შვილმა, რომელიც დაეთანხმა განცხადებაში მითითებულ გარემოებებს და მიიჩნია, რომ მათზე დაყრდნობით არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აღნიშნული არ იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის მიერ, რის გამოც მიაჩნია გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის – დ. ქ-შვილის კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა



იმ დასკვნამდე, რომ ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის – დ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღერები. სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, დოკუმენტის სიყალბესთან დაკავშირებით, დასაშვებია, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 ნოემბრის '201 ცნობა, რასაც დაეყრდნო საოლქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, არის ყალბი, რაც ფაქტიურად '201 ცნობის ავტორის – ე. კ-შვილის მიერ აღიარებულია სხვა საქმეზე წარდგენილი შესაგებლით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის სსსკ-ის 423.1-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგან სიყალბის ფაქტი არ არის დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. განმცხადებლები ცნობის სიყალბის დასადასტურებლად მიუთითებენ მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ მათთვის ნ. ს-შვილის მიერ სოფლის სამოვრით სარგებლობისათვის საფასურის გადახდის მოთხოვნის შემდეგ ცნობილი გახდა ცნობაში დაფიქსირებული ფაქტის უსწორობა, რაც ასევე აღიარებულ იქნა ცნობის ავტორის მიერ, კერძოდ, ყვარლის რაიონულ სასამართლოში ადრულ სარჩელზე ე. კ-შვილის მიერ წარდგენილი შესაგებელის თანახმად, ცნობაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და «არ შედის» ნაცვლად უნდა ყოფილიყო «შედის». დოკუმენტის სიყალბის დადგენისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია შესაბამისი პროცედურები, რაც საბოლოოდ უნდა დადასტურდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც ამა თუ იმ დოკუმენტის ავტორის მიერ მისი სიყალბის დადასტურება, ვერ იქნება მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად, რასაც სასამართლო უნდა დაეყრდნოს ამ საფუძვლით საქმის წარმოების განახლებისას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი საქმის წარმოების განახლებისათვის, რადგან საქმეში წარმოდგენილი მასალები არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დოკუმენტი, რასაც დაეყრდნო სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანისას, არის ყალბი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობდა განცხადებაში მითითებული საფუძველით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების პროცესუალური წინაპირობა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის – დ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ჯ-შვილის, თ. კ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის – დ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.